140
1967



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1917
1967

# პიონერი 11



ეროვნული ბიბლიოთეკა



10. 379

წინ, წინ, სამშობლო მხარევ! ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც შესძრა მსოფლიო მთელი!
გამოქანება მძლავრი ცხრაასჩვიდმეტის ტალღის –
ეს არის ძალა, ნება და მისწრაფება ხალხის!

გალაკტიონი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიადი იუბილე

გიორგი ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ქართველი ხალხი, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით ეგებება დიად დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ხვდებიან ახალ-ახალი მიღწევებით, თვალს ავლებენ განვლილ გზას და სახავენ შემდგომი პერსპექტივებს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მატიანეა. ამის მოწმეა მატიანეები, კლდეებში გამოკვეთილი ციხე-ქალაქები, დანგრეული ციხე-სიმაგრენი, გადამწვარი ტაძრები... საქართველოს მადლიანი მიწის ყოველი მტკაველი გაჟღენთილია ჩვენი მებრძოლი, შრომისმოყვარე წინაპრების გმირული სისხლით, რომელთაც აუთვალავი (?) ომების ქარცეცხლში გამოატარეს და შეგვინარჩუნეს თავისუფლება, ჩვენი კულტურა, ენა.

ამ ორმოცდაათი წლის წინ საქართველო გმინავდა მეფის რუსეთის უღელქვეშ. იდევნებოდა ქართული ენა. ქვეყანა იყო ჩამორჩენილი, აგრარული, ყოველ ნაბიჯზე მეფობდა ჩაგვრა და უსამართლობა. სწავლა-განათლების უფლება მხოლოდ მემამულეების, თავადაზნაურების შვილებს ჰქონდათ. მეფის ბატონობის (?) მენშევიკები, რომლებმაც უცხოელ კაპიტალისტებს საქართველოს მატერიალური სიმდიდრის განიავების უფლება მისცეს.

და აი, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველომ თავისუფლად ამოისუნთქა და სულ მოკლე ხანში, ჩამორჩენილი, სუსტად განვითარებული ეკონომიკის მქონე საქართველო გარდაიქმნა ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ და განვითარებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. ქართველმა მშრომელმა ლაღად (?) გაშალა მხრები და დაუღალავი შრომით ქმნის მატერიალურ დოვლათს, თვითონაც სულ უკეთ და უკეთ ცხოვრობს.

საბჭოთა ხალხების დიდი ზეიმის—საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის დღეებში ქართველი ხალხი სიამაყით ავლებს თვალს განვლილ გზას და სიხარულით აღნიშნავს ბრწყინვალე გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში, რასაც მან მიაღწია ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების მეგობრული მხარდაჭერით. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ქართველ მშრომელთა მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, აგრარული პერიფერია გადააქციეს საბჭოთა კავშირის აყვავებულ რესპუბლიკად. არ დარჩენილა სახალხო მეურნეობისა და კულტურის არც ერთი სფერო, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში არ განეცადა ძირეული გარდაქმნა და პროგრესი.

ცნობილია რომ 1921 წლამდე, მაგალითად 1913 წელს, საქართველოში მხოლოდ 200-მდე წვრილი, ძირითადად (?) სამრეწველო საწარმო იყო, რომლებშიც 10 ათასამდე მუშა მუშაობდა; 1913 წელს სულ გამომუშავებულ იქნა 20 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, მოპოვებულ იქნა 70 ათასი ტონა ქვანახშირი... ახლა ბავშვმაც კი იცის, რომ საქართველო მძიმე ინდუსტრიის, მაღალგანვითარებული მეურნეობის (?), კვების და საფეიქრო მრეწველობის რესპუბლიკაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორიცაა: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და მრავალი სხვა ქარხანა და ფაბრიკა. ახლა რესპუბლიკის ელექტროსადგურები ყოველწლიურად იძლევიან ელექტროენერგიას იმდენს, რამდენიც გამომუშავდა მთლიანად 1913 წელს. თუჯისა და ფოლადის გამოშვების რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე საქართველომ გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორებიცაა: იაპონია, იტალია, შვეიცარია, ნორვეგია, თურქეთი ერთად აღებული. საქართველო ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად 10 ათასზე მეტ ავტომანქანას, მილიონ ტონობით მარგანეცის მადანს აძლევს. ყოველ წელს ჩვენი ფაბრიკები უშვებენ 1 მილიონამდე წყვილ ფეხსაცმელს, 10 მილიონამდე დეკალიტრ ღვინოს, 50 მილიონამდე მეტრ ბამბის ქსოვილებს, 5 მილიონ მეტრზე მეტ აბრეშუმის ქსოვილს და ა. შ.

დღეს საქართველოს სამრეწველო პროდუქცია მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში იგზავნება და ყველგან დიდი მოწონებით სარგებლობს.

არსებითი ნაბიჯებით წავიდა წინ სოფლის მეურნეობაც. შეიქმნა ისეთი ახალი დარგები როგორიცაა: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა; მოჰყავთ დაფნა, ტუნგო, თამბაქო და სხვ. ამ დარგების განვითარებაზე არავინ ფიქრობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ახლა ჩაის პლანტაციებს 60 ათასზე მეტი ჰექტარი უკავია, ნაცვლად 1000 ჰექტარისა 1920 წელს, ციტრუსებს—10 ათასი ჰექტარი, ნაცვლად 400 ჰექტარისა, ვენახს—100 ათასი ჰექტარი, ნაცვლად 36 ათასისა და ა. შ. პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მთლიანად გარდაიქმნა ჩვენი სოფლის მეურნეობა და სოფლის მშრომელებმაც მკვეთრად აამაღლეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მეჩაიეებმა: მარტო შარშან მათ მოკრიფეს 226 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი; 1921 წელს კი მთლიანად მოკრეფილი იყო 550 ტონა. ჩვენში ჩაის ფოთლის კრეფა 5-6 თვეს გრძელდება და ძალზე შრომატევადი სამუშაოა. ახლა მრავალ პლანტაციაში დაინახავთ ჩაის საკრეფ მანქანას „საქართველოს", რომელიც ქართველმა კონსტრუქტორებმა და ინჟინრებმა შექმნეს და მისათვის უმაღლესი ჯილდო, ლენინური პრემიაც დაიმსახურეს.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მევენახეებმა, მეციტრუსეებმა, მეთამბაქოეებმა, მეხილეებმა, მეცხოველეებმა, მეაბრეშუმეებმა და სხვ.

საქართველოს მშრომელთა მაღალი წარმატებების მაჩვენებელია ის გარემოება, რომ საქართველოს დროშას ლენინის ორი ორდენი ამშვენებს. ამ რამდენიმე ხნის წინ კი ჩვენს რესპუბლიკას მეორე დიდი ჯილდო—საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. ეს არის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებათა ღირსეული დაფასება.

ასეთი წარმატებების მიღწევა კი შეუძლებელია ეროვნული კადრების გარეშე.

1914 წელს საქართველოში სულ 1700-მდე სკოლა იყო, რომლებშიც 156 ათასი მოსწავლე სწავლობდა, აქედან 126 ათასი—დაწყებით სკოლებში. მასწავლებელთა რაოდენობა 5900 აღწევდა. იყო სულ რამდენიმე ბიბლიოთეკა. ამჟამად 5000-ზე მეტ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში 928 ათასი მოსწავლე სწავლობს, რომლებსაც 70 ათასამდე მასწავლებელი ასწავლის. საქართველოს ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს, ხოლო მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 15 პედაგოგი მოდის. გვაქვს ათასობით ბიბლიოთეკა, რომელთა ფონდი 50 მილიონ ეგზემპლარ წიგნს ითვლის. ხალხის კულტურის წინსვლას ემსახურება მრავალი კლუბი, სამკითხველო, ათეულობით დრამატული თეატრი, კინოთეატრები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

გვაქვს ჩვენი მეცნიერებათა აკადემია, 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც 600-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 4 ათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობს. მსოფლიო სახელი მოიპოვეს ქართველმა მათემატიკოსებმა, ფიზიკოსებმა, გეოლოგებმა, ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა.

შესანიშნავი გზა გაიარა ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ჩვენი ეროვნული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის მრავალი ნაწარმოები შესულია საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. ჩვენმა ხელოვნებამ ფართოდ გაითქვა სახელი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშიც. მსოფლიო სახელი აქვს მოპოვებული მრავალ ქართველ სპორტსმენს, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე დიდების შარავანდედით მოსავენ საბჭოთა სპორტს.

დიდი მუშაობაა ჩატარებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას 16 ათასამდე ექიმი და 37 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი. ყოველ 1000 კაცზე 34 ექიმი მოდის, მეტი, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში.

საბჭოთა საქართველო ყოველდღიურად მშვენიერდება. მრავალი შესანიშნავი შენობა აიგო თბილისში. გაშენდა ახალი საცხოვრებელი კვარტალები. ჩვენს დედაქალაქს ამშვენებს ახლადგახსნილი მეტროპოლიტენი. აშენდა სიმაღლოვანი სასტუმრო „ივერია". ასევე კეთილმოწყობილი ხდება რესპუბლიკის სხვა ქალაქები და სოფლები.

აფხაზეთის, აჭარისა და ოსეთის ოდესღაც ჩამორჩენილი, ექსპლოატირებული მოსახლეობა დღეს ინტენსიურად შრომობს მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში. აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა, გაიხსნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები, ყველა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, გაიხსნა უამრავი სამრეწველო საწარმო; აყვავდა სოფლის მეურნეობა; აშენდა მრავალი კურორტი, სადაც ასეულ ათასობით საბჭოთა მშრომელი მკურნალობს და ისვენებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეული ყველა სიკეთის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და დამსახურებული ჯილდოებით აღფრთოვანებულმა საქართველოს მშრომელებმა უფრო თავდადებულად გაშალეს შრომითი ცეცხლი (?) რესპუბლიკის ცხოვრების ყველა ფრონტზე, ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლის—კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ქართველ ხალხს ყოველთვის ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირის ძალა მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევ მეგობრობაშია, ყოველდღიურად მტკიცდება და ღრმავდება ეს მეგობრობა. მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, კომუნისტური დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს მშრომელები კვლავაც ეცდებიან თავისი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ მათი შვილიშვილები ვართ, ვინც ზამთრის სასახლეს უტევდა"...

„ჩვენ მათი შვილები ვართ, ვინც გაანადგურა ფაშიზმი და დღეს კომუნიზმს აგებს."

„ჩვენი საუკეთესო სწავლა—სამშობლოს!"

„ვიზრდებით, რომ გავხდეთ კომკავშირელები, ვიზრდებით, რომ გავხდეთ კომუნისტები".

„დაე, კომკავშირული და პიონერული ვახტი გახდეს ნაწილი საიუბილეო საერთო, სახალხო ვახტისა".

„მამათა სახელით ვფიცავთ: ვიყოთ ლენინის ანდერძის, წითელი დროშის, პიონერული კანონების ერთგულნი".

საბჭოთა ქვეყნის ყველა პიონერისადმი მიმართვიდან «[illegible]», 1967 წელი



# მამათა სახელით ვფიცავთ!

თბილისი. 72-ე საშუალო სკოლა. წითელი აგურით ნაგები სამსართულიანი შენობა.

მხიარულად მოსაუბრე ბავშვებით სავსე მოასფალტებული ეზო.

წიგნებით გატენილი ჩანთით ბიჭუნამ ჩქარი ნაბიჯით გადმოჭრა ქუჩა და სკოლის კარებში გაუჩინარდა.

ზარი.

ერთი წუთის შემდეგ ეზო დაცარიელდა.

და დაიწყო მთავარი.

დაიწყო გაკვეთილი.

არაფერი განსაკუთრებული.

ასე იწყება ყოველი დღე თბილისის ათობით, ჩვენი ქვეყნის ათასობით სკოლაში.

ასე იწყებოდა დღე ყოველთვის, რაც კი დღევანდელ პიონერებს თავი ახსოვთ.

ასე იწყებოდა იგი მანამდეც, დიდი ხნით ადრე, მაშინ, როცა დილით საბჭოთა რადიო არ იწყებდა თავის გადაცემას ლევიტანის ხმით:

„საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან".

ასეთი წითელი აგურით ნაგებ სკოლებში მიდიოდნენ ბიჭუნები, რომლებიც ხან შეჯიბრებაზე იმარჯვებდნენ, ხან ბურთით ფანჯარას ტეხავდნენ, ხან პლანერებზე და თვითმფრინავებზე ოცნებობდნენ, ხან ესპანეთში რესპუბლიკელთა დასახმარებლად გაპარვაზე ფიქრობდნენ სერიოზულად და როცა ამას ვერ მოაღწევდნენ, წითელვარსკვლავიანი ესპანური ქუდის ყიდვას იწყებდნენ!

მოსკოველ პიონერებს ჰყავდათ სათაყვანებელი კაცი.

ამ კაცს ერქვა ვალერი ჩკალოვი.

ბიჭები ჭკუას კარგავდნენ მის ავტოგრაფებზე.

უყვარდათ პარაშუტიანი სამკერდე ნიშნები.

ეს იყო სწრაფვა სიმაღლისაკენ, მამაცობისაკენ, თავგანწირვისაკენ.

ასე იყო მოსკოვში, ტაშკენტში, თბილისში...

შემდეგ...

შემდეგ სამშობლომ მოითხოვა და ბიჭუნებმა დატოვეს მერხები, აუდიტორიები, ქარხნები, მინდვრები.

შემდეგ სამშობლოს ველ-მინდვრები იქცა ბრძოლის ველად.

ქარხნები — დანგრეულ, გამჭვარტლულ მიწებად, სოფლები — ნასოფლარებად, სკოლები — ჰოსპიტლებად.

მეოცნებე ბიჭები-შურისმაძიებლებად, გამათავისუფლებელ მეომრებად.

## ჩვენ მათი შვილები ვართ, ვინც გაანადგურა ფაშიზმი და დღეს კომუნიზმს აშენებს

ეს სიტყვები წლეულს გაისმა არტეკში, პიონერთა საკავშირო შეკრებაზე. გაისმა როგორც მოწოდება, როგორც ვალდებულება, როგორც მზადყოფნა: დაუყოვნებლივ დავდგეთ მამების კვალზე, თუ კი სამშობლო ამას მოითხოვს.

ეს სიტყვები ამშვენებს თბილისის 72-ე საშუალო სკოლის დერეფნის მზით განათებულ კედლებს.

წითელი აგურით ნაგები სკოლა.

აქაც სწავლობდნენ ცელქი ბიჭები, სერიოზული ბიჭები, ჭკვიანი და ეშმაკი ბიჭები, რომლებიც წავიდნენ, წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. სამარადისოდ საქართველოში ჩამოვიდა მათი გმირობის ამბავი. მარტო თბილისმა ქვეყანას გაუზარდა 34 საბჭოთა კავშირის გმირი. ერთი მათგანი, საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ლეჟავა, აქ, ორთაჭალაში გაიზარდა, ამ სკოლის ეზოში დასდევდა ბურთს, აქ, მტკვრის პირას სწავლობდა მშობელი მიწის სიყვარულს.

წავიდა ვახტანგი, წავიდა მისი ძმაც.

აღარც ერთი აღარ მიუბრუნდა მტკვარსა და მეტეხის ხიდებს...

სკოლაში საბრძოლო დიდების მუზეუმია.

მუზეუმში ყველაზე საუკეთესო რელიქვიად ინახება ვახტანგ ლეჟავას სურათები.

გაღიმებული, შუბლნათელი, ლამაზი ბიჭი სამხედრო ფორმაში.

მზე მიუღებული მაჯჭრიანი დაჭრილი წითელარმიელი — ვახტანგ ლეჟავა ჰოსპიტალში. სახეზე დაღლილი ღიმილი, რწმენა, იმედი, რომ მალე ჩადგება მებრძოლთა რიგებში, შურს იძიებს დანგრეული ქალაქებისა და სოფლებისათვის, უსახლკაროდ დარჩენილი ობლებისათვის. ასახელებს სამშობლოს.

ბრძანების ფოტო ასლი.

ბრძანებაში ნათქვამია:

> ნოვოჩერკასკთან გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში შეუპოვრობისა და უმაგალითო მამაცობისათვის ვახტანგ ლეჟავას მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ფოტოზე: 72-ე სკოლის პიონერები ვახტანგის დედასთან.

ხელნაწერები: მათი მოგონებები, ვინც ამ სკოლის შენობაში მუშაობდა იმ წლებში, როცა სკოლა ჰოსპიტალად გადაკეთდა. ეს მოგონებები დღევანდელმა მეშვიდე-მერვეკლასელებმა შეაგროვეს. იმათ, ვინც დიადი თარიღის, საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის დღეებში შედიან კომკავშირის რიგებში.

## რატომ მინდა მშვიდობა

*საერთო სასკოლო საკონტროლო წერა რუსულ ენასა და ლიტერატურაში. 72-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლ. დ ა ვ ა რ ა შ ვ ი ლ ი.*

*...ვუყურებდით კინოსურათს „ჩვეულებრივი ფაშიზმი", სკოლიდან წავედით. მთელი რიგი ჩვენს კლასს ეჭირა. ყველა კადრი იყო დოკუმენტური.*

*დარბაზში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. მთელი ჩვენი კლასი გაფითრებული და კრიჭაშეკრული უცქერდა ეკრანს. უცებ ჩაბნელებულ დარბაზში ქვითინი გაისმა. ატირებული ქალი დარბაზიდან გაიყვანეს. თმა ყალყზე დაგვიდგებოდა, ვინ იცის, იქნებ შენი ან ჩემი იყო საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეებში, რომლებიც გაზის კამერებში მიჰყავდათ.*

**ნარგიზა მგელაძე.**

ფოტო ბ. ხანაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ადგილზე, სადაც გვიჩვენს ერთმანეთის გვერდით დაწყობილი შემა და ადამიანთა გვამები, რომლებისთვისაც ცეცხლი უნდა. წავკიდებინათ, მეც დავტოვე დარბაზი, ვეღარ გავუძელი... ჟურნალ „იუნოსტში" დისკუსია იყო მშვიდობის საკითხზე.

სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე სტუდენტს ჰკითხეს: რას ფიქრობდნენ მშვიდობაზე. აღმაშფოთა ნიუ-იორკელი სტუდენტის პასუხმა. ის ცდილობდა დაემტკიცებინა რომ ომები აუცილებელია. აი, ხომ ხედავთ, რომ საჭიროა ბრძოლა მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ არცერთი ქვეყნის ახალგაზრდა არ ფიქრობდეს ასე..."

### რატომ გვინდა მშვიდობა

საერთო სასკოლო საკონტროლო წერა რუსულ ენასა და ლიტერატურაში 72-ე საშუალო სკოლის მოსწავლე: მ ა ნ ა ნ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

„...ჟურნალში სურათია
მოკლული ბავშვი.
პატარა ბავშვი.
სახეზე ისეთი გამომეტყველება შერჩენია, თითქოს მზისაკენ ისწრაფვოდა. ტირილი გინდა, რა პატარა, რა ლამაზი ბავშვი მოკლეს, ის კი არავის არაფერს უშავებდა, ხელებს მზისკენ იშვერდა.
ეს ვიეტნამში მოხდა. ნუთუ ოდესმე აპატიებს მსოფლიო ამ მკვლელობას ამერიკას?.."

მოსწავლეთა ეს თხზულებანი სასკოლო მუზეუმში ინახება.

„დაე კომკავშირული და პიონერული ვახტი გახდეს საერთო სახალხო საიუბილეო ვახტის ნაწილი"

ეს ლოზუნგი პიონერთა ოთახის შესასვლელთან ჰკიდია.

„ე ლ ვ ა"
საერთო სასკოლო გაზეთი.

„წინასაიუბილეო ვახტის დამთავრებამდე დარჩა 30 დღე.
აკადემიური წარმატების, დისციპლინის, სისუფთავის ქულების შეჯამებამ გვიჩვენა. რომ წინ მიდიან მე-10, მე-6, მე-5, მე-4 კლასელები".

ამ გაზეთის გვერდით საპატიო დაფაა.

„ა ი, ვ ი ს ი თ ა მ ა ყ ო ბ ს ს კ ო ლ ა".

სკოლის დირექტორი ვასილ ლითანიშვილი გვაცნობს მოწინავე, საუკეთესო პიონერებს: ნანული ფოცხვერაშვილი, ნინო კოტიაშვილი, ვახტანგ ბერიაშვილი, იგორ ვერნიცკი, ლიანა ბაკურაძე, ნანა ჯორბენაძე... ისინი ბევრნი არიან.
სკოლა საიუბილეოდ ემზადება. ზეიმს პირნათელი ეგებება.
და აი, რითი:

დეპეშა მოსკოვიდან:

სამხედრო — სპორტულ თამაშში („ზარნიცა") აქტიური მონაწილეობისათვის თბილისის 72-ე სკოლის ბატალიონის შტაბი ჯილდოვდება დიპლომით.

საბჭოთა კავშირის გმირი, არტილერიის მარშალი ვ. კაზაკოვი.

რა თქმა უნდა, ამ დეპეშას წინ უძღოდა ბევრი რამ. ყველა მოსწავლე მეცადინეობდა სხვადასხვა სპორტულ წრეში, ყველა სწავლობდა სროლას შეფებთან — სამხედრო ნაწილში. მომზადდა მზვერავები, სანიტრები, საბრძოლო ფურცლების რედაქტორები, ჩატარდა სამხედრო თამაშობები „დროშა ციხე-სიმაგრეზე". მოაწყვეს ლაშქრობა ქალაქგარეთ ნამდვილი საველე სამზარეულოთი, სასიგნალო ფერადი რაკეტებით, რადიოგადამცემებით, ჩაატარეს სამწყობრო სიმღერების გასინჯვა-კონკურსი. დაიმსახურეს შეფასება — „ფრიადი".
თამაში გრძელდება...
გადაწყვეტილი აქვთ ნო არმიელთა საუკეთესო რაზმს მიანიჭონ საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეჟავას სახელი. ამას საიუბილეოდ გააკეთებენ.
ძალიან უნდათ რაიონული საბჭოს აღმასკომში აღძრან საკითხი:
ალახვერდოვის მოედანს, სადაც გმირის დედა ცხოვრობს, უწოდონ ვახტანგ ლეჟავას სახელი.
კიდევ რით ეგებებიან იუბილეს?
სიგელით!

თბილისის 72-ე საშუალო სკოლის მე-6 რაზმს, ქარხანა „ელექტროავტომატში" შაბათობაზე საუკეთესო მუშაობისათვის.

ქარხანა „ელექტროავტომატის" პარტბიუროს მდივანი ჯ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ი.
კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ ა ხ ო კ ი ძ ე".

ასეთი სიგელით დაჯილდოვდა სკოლის 9-ვე რაზმი, რომლებიც ქარხნის საამქროებში ეხმარებოდნენ მუშებს აპარატების აწყობაში.
ასე აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ბავშვებმა საკავშირო პიონერულ შაბათობაში.
ეს გახლდათ ჭეშმარიტად „საერთო სახალხო საიუბილეო ვახტის ნაწილი".
იუბილეს წინა დღეებში სკოლაში ჩატარდება დიდი ფორუმი: „ვადიდებ სამშობლოს, რომელიც არის და იქნება მრავალჟამიერ".
და რაც მთავარია, ამ საზეიმო დღეს სკოლის რაზმეულის საბჭო რეკომენდაციას აძლევს საუკეთესო პიონერებს კომკავშირის რიგებში შესასვლელად.

## ვიზრდებით რომ გავხდეთ კომკავშირლები. ვიზრდებით რომ გავხდეთ კომუნისტები

კომკავშირისადმი, პარტიისადმი ერთგულების ფიცს იტყვიან 29 ოქტომბერს — კომკავშირის დაბადების დღეს, სკოლის საუკეთესო პიონერები: ნინო კოტიაშვილი, სერგეი რუმიანცევი, ვალერი ჯაყელი, ზურაბ ბაკურაძე, საკინა ისფაგანლი, ნოდარ იოსებაშვილი. ისინი, ვისაც კომკავშირულ ბილეთს ყველაზე სამახსოვრო დღეებში გადასცემენ — საბჭოთა სახელმწიფოს საიუბილეო ზეიმზე.
ასე ცხოვრობს, ასე ეგებება იუბილეს თბილისის ერთ-ერთი რიგითი, 72-ე საშუალო სკოლა.
სკოლა, რომელშიც ისევე, როგორც ათასობით სხვა სკოლაში იზრდებოდნენ, საწვლობდნენ, ცელქობდნენ და შემდეგ დიდ გზას, ხშირად დიდების გზას ადგებოდნენ ჩვეულებრივი ბიჭუნები და გოგონები. რომელშიც „კიდევაც დაიზრდებიან"....
ტყუილად როდი აჟღერდება საიუბილეოდ წკრიალა ხმებით ნათქვამი ფიცი:
„მ ა მ ა თ ა ს ა ხ ე ლ ი თ ვ ფ ი ც ა ვ თ!"



# პატარა კომუნარი

„ჩვენი პატარა კომუნარი“ — ასე ეძახდნენ მას სიყვარულით პეტროგრადის მუშები და ჯარისკაცები.

იგი სულ რაღაც ცხრა გაზაფხულს ითვლიდა, როცა დაეცა რევოლუციის საქმისათვის ბრძოლაში.

ეს იყო ქართველი ბიჭუნა — კოტე ალექსანდრეს ძე მღებროვი (მღებრიშვილი), პეტროგრადის გარეუბანში დაბადებული.

იდგა მრისხანე ცხრაასთვრამეტი. ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთს უმოწყალოდ დაუწყეს ძიძგნა შინაურმა და გარეშე მტრებმა. კოტეს მამამ პეტროგრადის რევოლუციურ თეატრში დაიწყო მუშაობა. შვილიც თან დაჰყავდა ხოლმე. საოცრად ცოცხალმა და ჭკვიანური გამომეტყველების კოტემ მყისვე მიიქცია თეატრის მუშაკთა ყურადღება და მას ერთ-ერთ რევოლუციურ სპექტაკლში პატარა კომუნარის როლი მიანდეს. კოტეს ამ დროს ხუთი წელიც არ შესრულებოდა. მაგრამ მან ისე უშუალოდ, ისე მგზნებარედ განასახიერა პატარა [illegible] კომუნარი, რომ თეატრის დარბაზი ზანზარებდა ერთსულოვანი ტაშისაგან. ამის მერე დაერქვა კოტეს „პატარა კომუნარი“.

მომდევნო წელს კოტე უფროს მსახიობებთან ერთად ფრონტზე, პეტროგრადელი ჯარისკაცების გვერდითაა და სანგრიდან სანგარში გადადის მისი წკრიალა, გამარჯვებისათვის აღმაფრთოვანებელი ხმა.

ხოლო როცა დამთავრდა სამოქალაქო ომი და მუშებმა კვლავ მიაშურეს თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებს, პატარა კომუნარმა ქალაქში გამართულ კონცერტებსა და მიტინგებზე დაიწყო გამოსვლა. პეტროგრადელებს მთელი გულით შეუყვარდათ იგი.

კოტე მებრძოლ მსახიობებთან იყო უმეტესად და სახლში იშვიათად ბრუნდებოდა. როცა, ათასში ერთხელ თავის ეზოში გამოჩნდებოდა, ბავშვები გარს ეხვეოდნენ და ამბებს ეკითხებოდნენ. მას განსაკუთრებით უყვარდა „წითლებისა“ და „თეთრების“ თამაში. „წითლები“ მუშების შვილები იყვნენ, „თეთრები“ კი — ვაჭრებისა და სხვა ბობოლათა ნაშიერები. რამდენჯერ ნამდვილი დაკადაკათი დამთავრებულა თამაში... შეძლებულების შვილებმა კარგად იცოდნენ, რომ კოტე მართლაც წითელი კომუნარი იყო და სძულდათ იგი.

კოტემ უკანასკნელად ამერიკელი პოეტის — უიტმენის პიესაში ითამაშა. სცენიდან მის მიერ ნათქვამი ლექსი თავისუფლებისაკენ ნამდვილ მოწოდებად გაისმოდა.

ხუთი დღის შემდეგ იგი ტრამვაით მიდიოდა, გაჭირვებული ამხანაგისათვის საკუთარი ულუფა პური მიჰქონდა. რევოლუციის მტრებმა იცოდნენ კოტეს ფასი, როცა იგი ტრამვაიში მარტოდ-მარტო დაინახეს, ერთი მათგანი მივარდა კოტეს და ძირს გადმოაგდო. პატარა კომუნარი რამდენიმე საათის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მშობლებმა ვეღარ მიუსწრეს ცოცხალს.

პეტროგრადს ელვასავით მოედო კოტეს დაღუპვის ამბავი. ყოველ პატიოსან ადამიანს მწარედ ეტკინა გული და უფრო მეტი სიძულვილით აღენთო მტარვალთა მიმართ. კოტეს დაკრძალვის დღეს, 1922 წლის 25 აპრილს პეტროგრადის კომკავშირელებმა ის წითელი დროშა გამოიტანეს, რომელიც პატარა მსახიობს უკანასკნელად ეჭირა სცენაზე. დროშას ეწერა: „ოქტომბრის მომღერალს, ნორჩ ლენინელს — კოტე მღებროვს“. წითელარმიელებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა უკანასკნელად სცეს პატივი თავიანთ საყვარელ კოტეს, ცხრა წლის მებრძოლ აგიტატორს.

ლენინგრადის შუაგულში, მარსის მოედანზე, გამოჩენილი რევოლუციონერების გვერდით განისვენებს პატარა ქართველი ბიჭი, წითელი კომუნარი. გრანიტის ქვაზე ამოკვეთილია სიტყვები:

„ნორჩი მსახიობი და აგიტატორი კოტე მღებროვი — ჩეკანი“.

ჩვენი ქვეყნის დიადი იუბილეს დღეებში საბჭოთა პიონერები კიდევ ერთხელ სიყვარულითა და მოწიწებით იგონებენ მათი თანატოლის — რევოლუციისათვის თავდადებულ კოტე მღებროვის დაუვიწყარ სახეს.

„მის წინაშე ისე უნდა დავხაროთ თავი, ვით მთელი რევოლუციური ახალგაზრდობის წინაშე, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო და ახლაც იღებს რევოლუციის საქმისათვის“.

„პეტროგრადსკაია პრავდა“ 1922 წელი, 25 აპრილი.





# მარილის ააპანში

როდიონ ქორქია

1

საღამოს ბინდში ორი მხედარი მიაქროლებს ცხენებს, ერთი ჭარმაგი, ძველი რევოლუციონერი. მას ბევრი ბრძოლა გადახდომია თავს, ბევრ უბედურებას, ტყვიასა და ომის გრიალს შესჩვევია, არხეინად ზის ცხენზე და უშიშრად მიაქროლებს. მეორე მხედარი პატარაა, სულ რაღაც თორმეტი წლისაა. მამაცურად ზის ცხენზე, შიში არ ემჩნევა, გული არ ეკუმშება განუწყვეტელი სროლისაგან.

სანგრებს მიუახლოვდნენ და სვლა შეანელეს.

— ამხანაგო ზალკა, რატომ აქამდე ვერ ავიღეთ პერეკოპი? — ეკითხება ყმაწვილი ჭარმაგს.

ამხანაგმა ზალკამ თავი ოდნავ მოაბრუნა, პატარა ამხანაგს შეხედა და დარიგებით უპასუხა:

— ყირიმი თათრული სიტყვაა, სიმაგრეს ნიშნავს. პერეკოპი რუსული სიტყვაა, გადათხრილს ნიშნავს. სიმაგრეც არის და გადათხრილიც, ასე იყო წინათ, ახლა კი, რაც ეს შეჩვენებული ვრანგელი ჩაჯდა ყირიმში, სულ რკინა-ბეტონით ამოაშენა ეს გადათხრილი ყელი. მოდი და აიღე! მაგრამ ავიღებთ, ბიჭუნი, უეჭველად ავიღებთ. ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლის თავი პერეკოპზე უნდა ვიდღესასწაულოთ!

— რასაკვირველია! — დაემოწმა პატარა, — მე და ჩემი ვასკა პირველნი ავხტებით პერეკოპზე. ხომ, ვასკა?

— ფრ... ფრ.. რრ! — დაიფრუტუნა ცხენმა და თავი აიქნია.

— წწწ... უუუ...— გაიწივლა ტყვიამ ცხენის თავთან.

— ხა... ხა... ხა... — გაიცინა პატარა მხედარმა, — ვასკა, მე მეგონა, მე მიპასუხე, შენ კი ტყვიას უქნევდი თავს. შეგეშინდა განა, ცუღლუტო?

— მოვედით მთავარსარდლის სადგომთან. აქ შტაბია, — თქვა ზალკამ. — მომიცადე, მე ბრძანებას გამოვიტან! აბა, ჩამოვხტეთ!

პატარა მხედარი ჩიტივით ჩამოფრინდა ცხენიდან, მძიმე ზალკა დინჯად დაეშვა. შტაბის ფანჯრიდან სინათლე გამოჩნდა. ზალკამ უცებ მიიზიდა პატარა, ჩაბღუჯა და ჰკითხა:

— სსს... იცი, ამ სახლში ვინა დგას?

— ვინა?

— ის... შეხედე!

პატარა მხედარმა ფანჯარაში თვალი მოჰკრა იმას, ვინც მხოლოდ სურათებში ენახა.

პატარა მხედარს სუნთქვა შეეკრა, ველარ ინძრეოდა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. თვალებზე ხელი ჩამოისვა, სიბნელე დაბურღა თვალებით და ჩაიჩურჩულა:

— ფრუნზე!

— ვინ არის? — მოისმა გუშაგის ხმა.

ზალკამ პაროლი უთხრა და დასძინა:

— მოხსენება მოგვაქვს. სახლი შეგვეშალა. შტაბის უფროსი გვინდოდა.

— აქედან მეორე სახლი, — აუხსნა გუშაგმა.

ზალკამ გასწია ცხენი. პატარა მხედარი კი ისევ აკვირდებოდა ფანჯარას.

— ეჰ, ფანჯარავ, რა იქნება, რომ ოდნავ მაინც გაიღო? ინატრა პატარამ.

— წავიდეთ! — მოესმა ზალკას ჩუმი ხმა.

ძლივს მოშორდა პატარა მხედარი მომჯადოებელ ფანჯარას.

2

კვლავ მიჰქრიან ცხენები.

ზუზუნებენ ტყვიები.

ისმის ქვემეხების გრიალი. ყუმბარები ღმუიან ჰაერში და თითქოს კვნესის ფუგასებისაგან დაგლეჯილი მიწა.

— საერთო შეტევაა, — დაიწყო ზალკამ. — ოცდამეათე დივიზია გადადის შეტევაზე. რაუდემიცისა და ლატვიელთა დივიზიები გაშმაგებით აწყდებიან პერეკოპს, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა... ფუ!

— რა გადაწყვიტეთ? — შეეკითხა პატარა მხედარი ზალკას.

ზალკამ შეხედა, ჩაიცინა და უთხრა:

— ამაღამ სივაშში უნდა გადავიდეთ, — სივაში ყურეა აზოვის ზღვაში.

— ზღვა გადავლახოთ ფეხით? — და პატარა მხედარმა ლაგამი მოსწია, ცხენი შეაჩერა.

— ჰო, მეგობარო, ჰო! წუხელის ფრუნზესთან მოხუცი მეთევზე მოვიდა თურმე და უთხრა: გამოცდილებით ვიცი, ქარი ისე უბერავს, რომ სივაშის წყალს ზღვაში შერეკავსო, დილამდე ზღვის ფსკერი ღია იქნებაო. ფსკერი მარილიანია აქ, მაგარი, შეიძლება ფეხით გასვლაო.

— მერე?

— მერედა, თუ ქარმა სივაშის წყალი გარეკაო, ზღვის ფსკერი გაშიშვლდება და ფეხით გავალთო. რაუდემიცის დ..ვიზია გავა და ზურგიდან დაარტყამს მტერს. ჩვენი ნაწილიც პირველი შევა სივაშში.

— ვასკა, გესმის, ჩვენ პირველნი შევალთ სივაშში! — დასძახა პატარა მხედარმა და შეჰყვირა ალტაცებით: — პირველნი! პირ-ველ-ნი!

შემდეგ ჰკრა ცხენს დეზი, გააქროლა და თითქოს მიწაც იმეორებდა ცხენების ფლოქვებქვეშ.

— პირველნი! პირ-ველ-ნი!

3

ჩამოწვა ღამე. ძლიერი ქარი მიაწვა სივაშს და გარეკა ზღვაში. გამოჩნდა ზღვის თეთრი ფსკერი.

— წინ! — მოისმა ბრძანება და რაუდემიცის დივიზია ზღვის ფსკერზე ჩავიდა.

მიდის დივიზია. მიდის სუნთქვაშეკრული...

ვინ იცის, ეგებ დაბრუნდეს ზღვა?

როდის ყოფილა, რომ ადამიანი ზღვის ფსკერზე დადიოდა? მაგრამ მარილიანი მიწა დივიზიის სიმძიმეს იტანს და პირველი ბატალიონები უკვე ავიდნენ მეორე ნაპირზე.

მტრის პროჟექტორმა თავისი თეთრი თვალი სივაშის ფსკერისაკენ შემოანათა. ეუცხოვა ზღვის ფსკერზე ადამიანების ზღვა. კიდევ და კიდევ დაზვერა...



და წამოვიდა ტყვიის წვიმა დივიზიაზე. მირბიან ბატალიონები მტრის ნაპირისაკენ. მირბის პატარა მხედარიც. მისი მეთაურის მათე ზალკას ნაწილმა სწრაფად გადაიარა ზღვის ფსკერი. აჰა, საცაა პატარა მხედარიც ამოავრდება კაციან ნაპირზე და ეცემა მტერს. მაგრად უჭირავს შაშხანა, დიდი შაშხანა. პატარაა მხედარი, მაგრამ მაინც მარდად მირბის.

— ვაშაა! — მოისმა პერეკოპიდან.

უცებ ნაპირთან ტყვიამ იწივლა.

— ვაი!

ეს ამოძახილი არავის სმენია. ის შეწყდა ტყვიასთან ერთად. პატარა მებრძოლმა ხელი იტაცა მკერდთან. წაბარბაცდა, ჩაიჩოქა... წამოდგა. რა რბილია ეს მიწა! რა მაგრად ებღაუჭება პატარა მხედარს! სულ დაბლა, დაბლა მიიწევს, მაინც არ გაუშვა ხელიდან შაშხანა. მუხლამდე რომ ჩაეფლო, ტანზე მიიკრა თოფი, მარცხენა ხელი კი ისევ გულთან ჰქონდა. ნელა მიეშვა მარილიან მიწაზე.

მარილიანი მიწა თითქოს აქვანივით დაირწა, ჩაიხუტა პატარა მხედარი.

— ვაშაა! — მოისმა პერეკოპიდან.— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

„ჩვენების ხმაა! — გაუელვა პატარას. — მაშ, გავიმარჯვეთ? ოჰ, ნეტავ შემეძლოს ადგომა! ვნახავდი ფრონზეს... მერე დედას ვეტყოდი, ფრუნზე ვნახე-მეთქი."

და თვალწინ წარმოუდგა დედა. დგას ჭიშკართან, გზას გაჰყურებს: როდის დაბრუნდება მისი პატარა? ბრუნდებიან მეზობლები, ნაცნობები. როდის დაბრუნდება პატარა მხედარი?

— დედიკო! დედა! ერთი დამანახვა შენი თავი! მწყურია. ოჰ, როგორ მწყურია! მცივა...

— ვაშაა! — ისმის პერეკოპიდან.

— ამხანაგებო მე, რომ ვერ ამოვალ პერეკოპზე? — და ცრემლებმა ჩამობანეს ლოყები.

შორს, ცაზე წამოდგა დილა.

— ვაშა! — გრიალებს პერეკოპი.

პატარა მეომარი ერთხელ კიდევ გაინძრა, ჰაერი ჩაისუნთქა და შესძახა:

— ვაშა!

მერე კი მარილიანმა მიწამ ჩაიხუტა და პირი მოუკუმა.

პერეკოპზე იდგა წითელი დილა...

4

პატარა მხედარი იწვა მარილის აკვანში თხუთმეტ წელიწადს.

გავიდა თხუთმეტი წელიწადი და შემოდგომის ერთ დღეს ქარმა სივაში კვლავ გარეკა. ერთი მოხუცი სივაშის ფსკერზე თევზს ეძებდა. უცებ შაშხანის ლულას წააწყდა. ამოთხარა. შაშხანასთან იწვა პატარა მეომარი.

იგი იწვა თოფჩახუტებული. ხელი დაჭრილ გულთან მიედო, მკერდზე სისხლი შეხმობოდა. პატარა მეომარი ისე იყო, თითქოს გუშინ ჩაწვაო. მარილს შეენახა იგი.

რა ჰქვია მას?

ვინ იცის!

ქვემეხები გუგუნებდნენ, მისი კუბო რომ მიჰქონდათ. კუბოს მისდევდნენ ბავშვები თაიგულებით. ნელა დუდუნებდნენ სივაშის ტალღები, თითქოს ნანას უმღეროდნენ თავის შვილობილს.

პატარა მხედარი კუბოშიც შაშხანასთან ერთად იწვა, და იქ, სადაც სისხლი შემხმარიყო, წითელი დროშის ორდენი ბრწყინავდა.

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიმღერა ოქტომბერზე

მორის ფოცხიშვილი

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

ცხოვრობს ვარსკვლავბიჭუნა
ვარსკვლავივით ნათელი,
ყვავილივით ლამაზი,
მზის გულივით ჯანმრთელი.

ცხოვრობს ვარსკვლავბიჭუნა
ხალხში, როგორც ზღაპარი,—
ოქტომბერში დაირწა
მისი რწმენის აკვანი.

დედა-ხალხმა უმღერა
ნანა, როგორც პატარას,
ხალხმა, როგორც ოცნება,
ხელისგულზე ატარა.

ხალხთან ერთად ებრძოდა
მტერს—ავსა და გარეწარს,—
ზოგი ვარსკვლავს ეძახდა,
ზოგიერთი—ნაპერწკალს.

იყო, ენთო, სერავდა
გზებს, ტრამალებს, რკინიგზებს...
ახლა ეს ნაპერწკალი
კოცონივით გიზგიზებს.

როგორც ვარსკვლავბიჭუნა,—
ხალხს მზესავით შეჰხარის,
როგორც ხალხი მშრომელი,—
არის გაუტეხარი.

ცხოვრობს, როგორც თქმულება,
უკვდავება—ზღაპარი,
ოქტომბერში დაირწა
მისი რწმენის აკვანი.

თოვლი, თოვლი, თეთრი თოვლი,
ცის და მიწის ჩურჩული,
მზეს ღრუბელი, როგორც ქორი,
როგორც შავი ურჩხული,
დაჰფრენია,—დღის სიცოცხლე
თითქოს ერთი წამია...
დღე არი თუ საღამოა,
იქნებ შუაღამეა?!

თოვლი, თოვლი, თეთრი ხრეში,
ფიფქია თუ მარილი?!
ეს ვინ მიდის სასახლეში,—
ბავშვია თუ ყვავილი?!

თოვლი, თოვლი, თეთრი ხრეში,
თოვლი თმებზე, თვალებზე...
— თქვი, რას ეძებ სასახლეში?!
— პურის ნამცეცს დავეძებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სასახლეში ლაქია
მხოლოდ მოლაქლაქეა,
არც არაფერს აშავებს,
არც არაფერს აკეთებს, —
დგას, სთავაზობს ბიჭუნას
ფოჩებიან კამფეტებს,
ბეწვის ქუდს და ფარაჯას,
დეზებიან ჩექმებს, —
ლაქლაქა ლაქიები
სულ ალერსით ჰყეფენ:
„—თქვი, ოღონდაც, ბიჭუნა,
გაუმარჯოს მეფეს!“

თქვი, ოღონდაც, ახლავე
მეფის საგალობელი,
უმალ გადიდკაცება და
ჩინ-მედალი მოგელის!“

მაგრამ ვარსკვლავბიჭუნა
მეფეს უჭვრეტს იჭვით, —
ლაქიობას ვერ იტანს
ვარსკვლავივით ბიჭი.

ქუდად დიდი მზე ჰხურავს
და მონობა სძაგს,
დაიქუხებს მეხურად:
— გაუმარჯოს ხალხს!

გულგოროზი ხელმწიფე
კბილებს კრეჭს და ხარხარებს,
უცებ ითხოვს:
„ბიჭუნა
დაიხვრიტოს ახლავე!“

დააყენეს კედელთან
გულცანგალა ბალღი,
იცინიან ჯალათები,
ჩუმად ოხრავს ხალხი...

ჩუმად ოხრავს ხალხი და
ცივად წივის ტყვია...
გულჩანგრეულ მიწაზე
ყვავილები ჰყრია.
მოკვდა ვარსკვლავბიჭუნა,
აღარ სუნთქავს თითქოს!
კმაყოფილი ხელმწიფე
ცეცხლზე ხელებს ითბობს.

ფიქრობს: „ჩქარა მოვითბობ
ხელებს ხალხის გულზეც“...
უცებ...
ხედავს — ბიჭუნა
მზეს ღიმილით უმზერს...

კვლავ დღეგრძელობს, მხნედ არი,
ხმა მიუგავს ზარს,
დგას, გუგუნებს უშიშრად:
— გაუმარჯოს ხალხს!

ქუხს „ავრორა“ ნევაზე,
ცას სინათლით ავსებს...
დგება ვარსკვლავბიჭუნა
ოქტომბრელთა გზაზე.

დგება, როგორც მებრძოლი
მამაცი და ბრძენი,
ერთგულებას გულდაგულ
ეფიცება ლენინს.

იყო, ენთო, იწვოდა,
არ უკრთოდა ავდარს; —
მზესთან ერთად იღვწოდა,
მზის გვირგვინებს წნავდა.

ებრძოდნენ და ვერ შესძლეს
დამარცხება მისი,
ცოცხლად ასამარებდნენ,
გარს ერტყმოდნენ რისხვით...

ჰკლავდნენ, არა კვდებოდა,
კვლავ ბრწყინავდა იმწამს,
„კაფე-თესეს“ ძახილით
აცოცხლებდა მიწას.

ხარებს ერეკებოდა
და ხეხილებს რგავდა,
ვენახს ეფერებოდა,
ვარდყვავილებს რწყავდა.

სკოლაშიაც იარა,
სტუდენტობაც განვლო,
ხნა და თესა, გალეწა
გასალეწი კალო...

და კვლავ ვერ აიტანეს
გამარჯვება მისი,
დაუნგრიეს სახლკარი...
და კვლავ სისხლი... სისხლი...

მოდის საშინელება,
ურჩხულივით შავი, —
ცა და მიწა ბავშვივით
თრთის და ისე ბღავის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაგრამ ვარსკვლავბიჭუნა
უმალ ფეხზე დგება,
ტყვიას, ცეცხლს და ყუმბარას
მშვიდად ეგებება.

შიში იპყრობს მტარვალებს,
უცნაური იჭვი,—
„ეს ხომ ვარსკვლავბიჭუნაა,
ოქტომბრელი ბიჭი?!

ეს ხომ ერთხელ მოვკალით,
ამ ცოტა ხნის წინათ,
იქნებ მოჩვენებაა
და ვარსკვლავად ბრწყინავს?

იქნებ მხოლოდ ფიქრია,
ყვავილია ველთა,
იქნებ თოვლის ფიფქია
და ქაღარად ფეთქავს“...

უკან იხევს მტრის ჯარი,
ჯალათები თრთიან:
— თქვი, რა გქვია სახელად?
— შურისგება მქვია!

უკან იხევს ომი და
მზეზე თბება ია:
— თქვი, რა გქვია სახელად?
— მე მშვიდობა მქვია!

ხან ზოია ერქვა და
ხან ოლეგი ერქვა,
იდგა მშობელ მიწაზე,
როგორც ძველი ძელქვა.

სჭრიდნენ, არ იჭრებოდა,
ღრმად იდგამდა ფესვებს,
მწვანედ იფოთლებოდა,
ისევ იდგა ფეხზე.

ჰკლავდნენ, არა კვდებოდა
არ ქრებოდა მაინც...
ჰგავდა რევოლუციის
თავგანწირულ რაინდს.

ახლაც მშვიდად შრიალებს,
ცას აწყდება მზიანს...
— თქვი, რა გქვია სახელად?
— ოქტომბრელი მქვია!

გაზაფხულის სუნთქვა ვარ,
ვარდყვავილთა წყარო,
ვცოცხლობ ხალხთა გულებში,
ხალხთა ლხინით ვხარობ.

ვარ მშვიდობის მაცნე და
ცას შევხარი მზიანს...
— თქვი, რა გქვია სახელად?
— ოქტომბრელი მქვია!

ცოცხლობს ოქტომბრელი და
აჩახჩახებს უკუნეთს,
აქ ხრამჰესი ბრიალებს,
იქ ზაჰესი გუგუნებს.

მღერის ვარსკვლავბიჭუნა
ვარსკვლავების შვილი,
სამშვიდობოდ ამოდის
მზესთან ერთად დილით.

როგორც ცისკრის ვარსკვლავი,
ცაზე ენთო კენტად,
ერთი იყო, ღრუბლები
ირგვლივ ჯარად ერტყა.

მერე უცებ აენთო
სხვა ვარსკვლავთა ჯარი...
ახლა მთელ პლანეტაზე
ჰქრის ოქტომბრის ქარი.

ცა და მიწა ჩახჩახებს,
გული გალობს ტკბილად...
და ანთია ზეცაზე
მზე ოქტომბრის დილად.

ცხოვრობს ვარსკვლავბიჭუნა
ვარსკვლავივით ნათელი,
ყვავილივით ლამაზი,
მზის გულივით ჯანმრთელი.

ცხოვრობს გულგანახარი
ხალხში, როგორც ზღაპარი...
ოქტომბერში დაირწა
მისი რწმენის აკვანი.



# ვნება საქყო და სამვლით

**კარლო კობერიძე**



ივანე ბერბერაშვილი 78 წლის მოხუცია, მთლად გაჭალარავებული, მაგრამ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, რაც კი რამ გადახდენია, გუშინდელ დღესავით ახსოვს.

ივანე დუშეთის მაზრის სოფელ ჭოპორტაში დაიბადა, ულარიბესი გლეხის ოჯახში. სამი წლისას დედა გარდაეცვალა და ბებიამ წაიყვანა თავისთან, ქსოვრისში. ათი წლისას ბებიაც მოუკვდა. ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ბიჭუნას, რომ კეთილშობილ ადამიანს, პედაგოგ არკადი გიგეჭკორს არ გაეწია მფარველობა. არკადის მოეწონა ნიჭიერი ბავშვი, თბილისში წამოიყვანა და უპატრონა.

თორმეტი წლის ივანე საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება: სამუშაოდ მოეწყო „ქართველთა ამხანაგობის ვამომცემლობის" სტამბაში. დღეღამეში 12-18 საათს მუშაობდა. შრომისმოყვარე, სწავლამოწყურებულმა ბიჭმა მალე შეისწავლა ბეჭდვითი საქმე. სტამბის მოწინავე მუშებმა ახედ-დახედეს, საქმეში და ადამიანობაში გამოსცადეს, დაიახლოვეს და მუშათა არალეგალურ წრეში ჩაებეს. ამ წრეს გამოცდილი ბოლშევიკი ალექსანდრე ობოლაძე ხელმძღვანელობდა. მალე ივანე ბერბერაშვილის ბინა მათი თავშეყრის კერა გახდა. აქ ეწყობოდა არალეგალური კრებები.

1906 წელს ივანე ბერბერაშვილს შუაღამისას ჟანდარმები დაესხნენ, ბინა გაუჩხრიკეს და იარაღი უპოვეს.

— ვისია იარაღი? ჰკითხა უფროსმა.

— ჩემი, — უპასუხა ივანემ.

— ვინ მოგცა?

— ვის უნდა მოეცა, აღარ მახსოვს, მგონი ვიპოვე.

— მერე ამდენი? — ირონიული ღიმილით ჰკითხა ჟანდარმმა.

— უფრო მეტი იყო, გავასაჩუქრე...

ივანე ციხეში ჩასვეს, ბევრი აწვალეს, მაგრამ მაინც ვერ გამოტეხეს. ივანემ ამხანაგები არ გასცა, მთელი პასუხისმგებლობა თავისთავზე აიღო და 17 წლის ჭაბუკი ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს. გადასახლების ადგილზე ჩავიდა თუ არა, ერთი კვირის თავზე უკან გამოიქცა, მაგრამ ბედმა უმუხთლა, დაედევნენ და ისევ დაიჭირეს. ამის მერე ივანე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ, იმას კი ისე ეჭირა თავი, თითქოს ადგილიდან ფეხის მოცვლას აღარ აპირებდა, ამით ციხის ზედამხედველობის ყურადღება მოადუნა და ერთი წლის შემდეგ ისევ გამოიქცა. ამჯერად უკვე მშვიდობით ჩამოაღწია კავკავში. ამხანაგებმა დიდი სიხარულით მიიღეს უმცროსი თანამშრომელი. კონსპირაციის მიზნით გვარი და სახელი გამოუცვალეს და მბეჭდავად მოაწყვეს კავკავის ერთერთ სტამბაში. მაგრამ მეფის ჯაშუშებს მხედველობიდან არ გამორჩათ ბერბერაშვილი და თვალთვალი დაუწყეს. ივანე კავკავიდანაც გაიპარა და ლენქორანში ჩავიდა, — იქაც სტამბაში დაიწყო მუშაობა. პარტიის დავალებით თვითონ ბეჭდავდა პროკლამაციებს და თვითონვე ავრცელებდა ხალხში. პოლიციამ არც აქ მოასვენა ივანე, ამიტომ იძულებული შეიქნა ლენქორანსაც განრიდებოდა. ივანეს იტალიაში უნდოდა წასვლა, კუნძულ კაპრიზე, სადაც იმ დროს გორკის ხელმძღვანელობით დაარსებული იყო მარქსისტული სკოლა, მაგრამ იტალიაში ჩასვლა არც ისე ადვილი იყო, — და... ამიტომ ჯერ ირანში გავიდა და თეირანის გაზეთ „ირანნოვას" სტამბაში დაიწყო მუშაობა ცოტაოდენი ფულის შესაგროვებლად. სწორედ იმ ხანად (1911 წელს) თეირანში მოკლეს ფინანსთა მინისტრი. ივანე მკვლელობის ადგილიდან სულ ახლო ქუჩაზე იმყოფებოდა. პოლიციამ ივანე მკვლელობის მონაწილედ სცნო და დააპატიმრა. ბორკილდადებული ივანე ბაქოში ჩამოიყვანეს, გაასამართლეს, 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ირკუტსკის გუბერნიაში გადაასახლეს. ქარსა და წვიმაში, მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი პატიმრები ფეხით გაუყენეს შორეულ გზას. ქალაქ ალექსანდროვსკის ციხეში ივანეს პარტახტიანი ტიფი დაემართა, გადარჩენის იმედი არა ჰქონდა. არც წამლები, არც უბრალო ყურადღება, მაგრამ ბედმა გაუღიმა...

— „გონი რომ დამიბრუნდა და თვალი გავახილე, — იგონებს ივანე, — თეთრხალათიანი, მხარბეჭიანი კაცი დავინახე, თავზე მადგა და მიღიმოდა. როგორა ხარო, — მკითხა. თავი გავაქნიე, აბა, რა ვიცი-მეთქი. ახლა უკვე ფიქრი არ არის, ჩვენსკენ მობრუნდიო, — ისევ გაიღიმა. მერე გავიგე, ეს კაცი სერგო ორჯონიკიძე ყოფილა. თვითონ არაფერი უთქვამს, სხვებმა მიამბეს: თურმე ავად რომ გავხდი, ცოცხალ კაცს 40 გრადუსიან ყინვაში გადაგდება დამიპირეს; აბა რა ხეირი დამეყრებოდა! მაგრამ ვინ იყო განმკითხავი? ბედად, სერგო ორჯონიკიძეს გაუგია და არ დაუნებებია ჩემი თავი. ავადმყოფობის მანძილზე სულ თავს დამტრიალებდა, ყურადღებას არ მაკლებდა და აკი სააქვეყნოსაკენ მომაბრუნა კიდეც.

სერგო ჩემი გადასახლების დროს პოლიტპატიმრებს ჩამოჰყოლოდა. მათი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად თავისი ხელობა გაიხსენა, თეთრი ხალათი ჩაიცვა და ციხის საავადმყოფოში ფერშლად დაიწყო მუშაობა. ის იყო ჩვენი მეგობარი და ჭირ-ვარამის შემამსუბუქებელი. იმ ხნიდან დავუახლოვდი სერგოს და ბევრი რამ გავიგე და ვისწავლე მისგან. მეამაყებოდა რომ მისი გადარ-



ივანე ბერბერაშვილი

ჩენილი ვიყავი, რომ ხშირად მსმენია მისი რჩევა-დარიგება. ჩემი შემდგომი მოღვაწეობის გრძელ გზაზე, ჭირსა თუ ლხინში, ყოველთვის მისი სიტყვები მახსოვდა: „აუცილებელია ბრძოლა, ბოლშევიკი უშიშარი უნდა იყოს".

ივანე ბერბერაშვილი სრულიად ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ამხანაგები მას აფასებდნენ, როგორც პრინციპულ ადამიანს, დაუზარელს, მაგრამ მიუხედავად ამისა, პარტიის რიგებში მაინც მოგვიანებით შევიდა.

— „რა დასამალია, ბევრ საკითხში ვერ ვერკვეოდი—გვიამბობს პატივცემული ივანე,—მინდოდა პარტიაში ისე შევსულიყავი, რომ ყველაფერი ნათელი, გარკვეული ყოფილიყო ჩემთვის. სერგო ორჯონიკიძესთან შეხვედრამ ბევრი რამ შემძინა და ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, მე მას ჩემს მასწავლებლად ვთვლი. 1917 წლის თებერვლის გადატრიალებამ ციხიდან გამათავისუფლა, დავბრუნდი თბილისში და იმავე წლის პირველ მაისს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის რიგებში შევედი"...

ამის მერე ივანე „კავკასკოე სლოვოს" სტამბაში მუშაობს. აქტიურად მონაწილეობს პროფკავშირთა არალეგალური ბოლშევიკური ცენტრის საქმიანობაში, აგროვებს სურსათსა და ფულს პოლიტპატიმრებისათვის, ქაღალდით ამარაგებს არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბას, ავრცელებს პროკლამაციებს. 1919 წელს მენშევიკებმა ივანე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, ხოლო ხუთი თვის შემდეგ საქართველოდან გაასახლეს. ერთხანს ბაქოში მოღვაწეობს, მერე ისევ არალეგალური ჩამოსვლა თბილისში, ისევ პროკლამაციების გავრცელება, ხელმძღვანელი ამხანაგების საგანგებო დავალებების შესრულება...

1921 წლის 25 თებერვალს თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა; იმ დღიდან დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. როგორც სხვა რევოლუციონერებმა, ივანე ბერბერაშვილმაც თავისუფლად ამოისუნთქა, — როგორც იქნა ეღირსა ქუჩაში თავაწეული სიარული, აღარც ყალბი პასპორტი იყო საჭირო და აღარც მიკიბ-მოკიბული სიარული.

ივანე ბერბერაშვილს მთავრობამ საგანგებო დავალება მისცა: ქალაქის ყველა სტამბა აღრიცხვაზე აეყვანა და მათი მუშაობისათვის ეხელმძღვანელა. ეს, ერთი შეხედვით უბრალო საქმე, ძალიან რთული იყო; სტამბის მფლობელები შრიფტს ანადგურებდნენ და, რაც მთავარია, ქაღალდზე კატეგორიულ უარს ამბობდნენ, — არა გვაქვსო. ივანეს დიდი შრომა დასჭირდა, რათა პირველი საბჭოური გაზეთების გამოსვლა ქაღალდის უქონლობის გამო არ შეფერხებულიყო...

1922 წელს, როგორც ნაწრთობი რევოლუციონერი, ივანე ბერბერაშვილი სამუშაოდ რევოლუციურ ტრიბუნალში გადაიყვანეს. მაშინ ახალი კანონები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო და ყოველგვარ საქმეს რევოლუციური სინდისით, პატიოსნებით ხელმძღვანელობდნენ. ივანეს ობიექტურობამ, საქმის ცოდნამ, ხალხის საკეთილდღეოდ გარკვეული ნაყოფი გამოიღო. მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა ფილიპე მახარაძესთან, მიხა ცხაკაიასთან, მამია ორახელაშვილთან, საშა გეგეჭკორთან, გიორგი და ვანო სტურუებთან...

მთელი რიგი წლების მანძილზე ივანეს პასუხსაგები თანამდებობები ეკავა: იგი იყო მბეჭდავთა პროფკავშირის თავმჯდომარე, აჭარის პროფკავშირის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, საქართველოს სასამართლოს საკასაციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლეს სასამართლოს წევრი, შინაგან საქმეთა სპეციალური სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

ივანე ბერბერაშვილის მეუღლეც, მათიკო მიქაძე, აქტიური რევოლუციონერი იყო, — ერთ-ერთი პირველი კომკავშირელთაგანი, კომუნისტური პარტიის თავდადებული მუშაკი.

ივანე ბერბერაშვილი ახლა პენსიაზეა და მშვიდად ისვენებს მრავალ ჭირვარამგამოვლილი ადამიანი.

მზიან დღეებში თბილისის ქუჩებში ხშირად დაინახავთ მაღალ, ჭაღარა ბერიკაცს. იგი ნელა მიუყვება ტროტუარს და ნაცნობებს თავაზიანად ესალმება, მიიკითხ-მოიკითხავს, მშვიდობას უსურვებს და გზას განაგრძობს. ხშირად ქალაქკომშიც შეხვდებით მას. იგი კანონიერების დაცვის კომისიის წევრია. ჩვეული მუყაითობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. შრომა-გარჯას მიჩვეული კაცი უსაქმოდ ვერ გაჩერდება!

ივანე ბერბერაშვილი პიონერების ხშირი სტუმარია, არა ერთხელ და ორჯერ მოუწვევიათ მათ მხცოვანი რევოლუციონერი თავიანთ შეკრებებზე და ივანესაც გულდასმით უამბნია ძველი ბოლშევიკების საინტერესო, საბრძოლო თავგადასავალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საოქტომბრო

**ვახტანგ გორგანელი**

ვაშა! ვაშა! სიხარულის
სიმღერები ჰქრის.
ზეიმია კიდით-კიდე
დიდი ოქტომბრის.

მზეო, მზეო, დედამიწას
რა სინათლით რთავ!
იშრიალეთ ველ-მინდვრებო,
იგუგუნე მთავ!

ვიცი კარგად, საით მიდის
საბჭოეთის გზა,
ოქტომბერმა მოუტანა
ხალხს შვება და ხსნა,

გავიზრდები, ამ დიდ დროშას
არ დავუშვებ ძირს,
და დავიცავ ღირსეულად
საქმეს ოქტომბრის.

ოქროსფერო ოქტომბერო,
საყვარელო თვევ,
მუდამ ასე კაშკაშებდეს
შენი ცა და მზე!

# ზეიმია

**გიორგი გიგაური**

ჩვენი წკრიალა ხმები,
ჩვენი სიმღერა წმინდა
მოსჩქეფს,
მოღელავს,
მოქუხს,
როგორც ჩანჩქერი მთიდან.

დიდი ოქტომბრის დილას
ტაშით ვხვდებით და ვხარობთ,
მან მოიტანა ქვეყნად
მზე და სიცოცხლის წყარო.

რა შეედრება, აბა,
ამ ფერთა ცეცხლს და ბრწყინვას,
ჩვენი გულები ლაღი
მზემ გაიხადა ბინად.

უხვი დროშების ქარი,
ყელსახვევების ქარი,
სიცოცხლეს მატებს გულებს,
მკლავებს—სიმტკიცეს რვალის.

ჩვენი წკრიალა ხმები,
ჩვენი სიმღერა წმინდა
მოსჩქეფს,
მოღელავს,
მოქუხს
როგორც ჩანჩქერი მთიდან.



მხატვარი ედ. ამბოკაძე

# ქართველი პოეტები ოქტომბერს...

აღსრულდა! ქვისფერ ცისკარს ამოჰყვა
მზე მონარნარე, მზე ცეცხლისფერი,
და შეიცვალა ძველი ცხოვრება,
აღსდგა, აზავთდა ტანჯული ერი.

...და იყო ბრძოლა დაუნდობელი,
ხელისუფლების დასაპყრობელად;
ბრძოლა სასტიკი და ულმობელი,
დიდი ოქტომბრის მახარობელად.

დამარცხდა მტერი,
ძირს დაემხო ქვეყანა ძველი,—
ქვეყანა ძარცვის,
გახრწნილების,
კაცთ მონობისა;
ფრიალებს დროშა ფრთაგაშლილი,
დროშა წითელი,
დროშა ხსნისა და დროშა ძმობისა.

მზეს ელოდა საქართველო—ძველი მუხა,
ჟამთ სიავით ნასეტყვი და ნამეხარი,
როცა დიდმა ოქტომბერმა დაიქუხა
და ბნელ ღამეს შემოუნთო ცეცხლის ქარი.

იმ ქუხილმა ქვეყნის მტერი დასცა ყველა,
ათასი წლის მოლოდინი გაგვიმართლა.
ხალხთა ძმობის დიდი დროშა ასახელა,
დიდებისკენ ოქროს კიბე აგვიმართა.

ძველ რუსეთს დასცეს რისხვა და ზარი,
სინათლის მტ[illegible]ბი ააცახცახეს,
ღამეს არყევდა ოქტ[illegible]რის ქარი
და ცახცახებდა ზამთრის სასახლეც.

და წყვდიადს რისხვა რომ დაატაროს,
«ავრორამ» შექმნა შფოთი და ძგერა,
ქვემეხთა გრგვინვით ამცნო სამყაროს
კაცობრიობის ახალი ერა.



ვარ დედამიწა, ცხელი და ვრცელი,
სამყაროს აზრი, დრო და საათი!
ვთენდები, მომყავს ახალი წელი—
რევოლუციის ორმოცდაათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
10.379

# ზეგ შვიდი ნოემბერია

**ეთერ სახვაძე**

ფოტო ბ. კაპარაძისა



ზეგ შვიდი ნოემბერია. თუ დარი იქნა, ხვალ სულეირას დედა ჩამოვა და ინგილოურ ბროწეულებს ჩამოიტანს. ხურმამ, მგონი, წელსაც ასხრებს, მთვარეს ღრუბლებში გადმოგორავს, ჰო, თუ დარი იქნა, დედა ჩამოვა და ისა და სულეირა სკოლა-ინტერნატში წავლენ პატარა დაიკო სალომეთიან. მერე ქალაქში გაივლიან. თუ დრო დარჩათ, ზოოპარკშიც შეუხვევენ, ვოლიერებს ჩამოუვლიან და, ბოლოს, გრძელ მერხზე, სადმე ჩრდილში ჩამოსხდებიან. აი, მაშინ სულეირა დროს იხელთებს და დაწვრილებით მოუყვება დედას იმაზე, რამაც ამ ბოლო კვირას მოსვენება დაუკარგა.

სულეირას ის ლამაზი ოქროს საყურეები ესიზმრება, ამას წინათ საქართველოს მუზეუმში რომ ნახეს. ბევრი სხვაც ენახათ, მაგრამ ისეთი — არაფერი. ნამდვილად სადედოფლო და დიდებული იყო. დაუვიწყარი!

სხვაცა აქვს საოცნებო პატარა ინგილო ქალს. არც იმის ახსოვლება ადვილი. თამარ ხელმძღვანელს ჰკითხა რჩევა, მაგრამ, სანუგეშო ვერა გაიგო რა. მაინც ჩაეწერა ხატვისა და ძერწვის წრეში, იმ განზრახვით, რომ თავის ნაოცნებარს რითიმე მიახლოვებოდა.

თუ ხელი მოემართა და როგორმე დაეუფლა ამ ხელოვნებას, მაშინ სულეირა უთუოდ საქმედ აქცევს ჩანაფიქრს: საქართველოს მუზეუმში დაიდებს ბინას, ვიტრინის ყველაზე საინტერესო ნივთების ახლოს არ გაიქცევა. აღელვებული როგორც მათი ზომები დაიცვას. მთავარი ისაა, დაამსგავსოს. თუ დაამსგავსებს, პატარ-პატარა წარწერებსაც დააკოპებს, — რომელს რა წარსული ჰქონდა. მერე ამას ყველაფერს თავის ალბომში წაიღებს და გამოფენას გახსნის. ო, რამდენი დაინტერესებული ეყოლება მის ნამუშევრებს! და ის, პატარა ინგილო ქალი სულეირა რამაზანოვა, თანასოფლელებს სიამოვნით აუხსნის, როგორ გამოიყურებიან ეს ნივთები სინამდვილეში. ნეტავ ჩქარა გათენდეს, დედა ჩამოვა და სულეირას ფიქრებს გაიზიარებს.

ზეგ კი შვიდი ნოემბერია და სულეირა დედასთან ერთად მოზეიმე ქალაქში გაივლის.

დედა ჩამოვა და, როგორ ცხოვრობთ, — პირველად ამას შეეკითხება. გოგონაც მოუყვება, როგორც არა ერთხელ უამბნია: დილის 7 საათზე დგებიან, ვარჯიშობენ, მერე საუზმე. ნათელ, გაკრიალებულ დარბაზში ოთხმოცზე მეტი ბავშვი გემრიელად ილუკმება. მერე, ერთნი ჩანთაში ჩაილაგებენ წიგნებს, 57-ე სკოლა იქვეა, მათი საბავშვო სახლთან... მეორენი დარჩებიან: ტექნიკუმებში სწავლობენ და გვიან ეწყებათ მეცადინეობა. სულეირა, ნინაკა და გულმამედი — ალიაბადელი თანატოლები — ერთად წავლენ სკოლაში.

სკოლიდან რომ დაბრუნდებიან და სადილს მოირთმევენ, გაკვეთილების მოსამზადებლად ან ზინა მასწავლებელი, ან მარიამი წაიყვანს მათ. მერე კი შესვენებისა და თამაშის საათი იწყება. ბავშვები დიდ, გასართობ დარბაზში იყრიან თავს. ვინ ცეკვავს, ვინ მღერის, ვინ გამოცანებს ამბობს... ზოგი ამ დროს ბურთს თამაშობს; ზოგი ტელევიზორს უყურებს, ზოგიც უბრალოდ, სუფთა პარკზე დასეირნობს. ეზო პატარაა, მაგრამ ლამაზი, მათი ხელით გახარებული ვარდებით დამშვენებული. ვახშმის შემდეგ კი პიონერთა ოთახს მიაშურებენ და ან კედლის გაზეთს აფორმებენ, ან ალბომს ავსებენ ახალი მასალებით.

ერთ ამბავსაც უამბობს დედას სულეირა. ეს — ძია არკადის სტუმრობა იყო. არკადი ხუნდაძე — მათი სახლის ყოფილი დირექტორი, ლიტერატორი, ჭაღარა, საამოდ მოსაუბრე. მისგან ბევრი საინტერესო ამბავი შეიტყვეს. ძია არკადი მოწმე ყოფილა იმ დროისა, როცა საქართველოში პირველი საბავშვო სახლები იხსნებოდა. მენშევიკების დროს ჩვენში უპატრონო ბავშვთა მხოლოდ ერთი თავშესაფარი ყოფილა. 1921 წელს კი თბილისში სახელდახელოდ 1000-ზე მეტი ბავშვისათვის 13 საბავშვო სახლი დაარსებულა. დღეს მათი სახლი ყველაზე ძველ საბავშვო სახლად ითვლება. იგი გაუხსნიათ 1924 წლის მარტში. პირველი დირექტორი ზინაიდა ორჯონიკიძე ყოფილა. კოჯორი, რომელიც ადრე გენერლებისა და ბურჟუების დროსტარების ადგილს წარმოადგენდა, ბავშვთა ქალაქად გამოუცხადებიათ, საიდაც ზაფხულობით სააგარაკოდ მიჰყავდათ უდედმამონი. მხოლოდ 1924 წლიდან იხსნება პირველი მუდმივი საბავშვო სახლი კოჯორში და საბავშვო ახალშენები დუშეთსა და ალგეთში.

სწორედ ასე, სიტყვასიტყვით, ჩაწერა სულეირამ თავისი რაზმის დღიურში. თამარ ხელმძღვანელმა ჩანაწერი მოუწონა. ოჰ, როდის გათენდება, როდის მოვა დედა, რომ ყველაფერი დაწვრილებით უამბოს...

ჩუ! გადაიღრუბლა! თუნუქის სახურავი აზმუვლდა... ვითომ საინგილოშიც წვიმს. წვიმიანი ტალახი იცის ალიაბადში, ძნელად სავალი ხდება გზები. ვინ იცის, დედა ვერც წამოვიდეს და, თუ ახლა ვერ ჩამოვიდა, ახალწლამდე დააგვიანდება. იოთოსლელი სახიბალიც თავის დაიკო თინას მოლოდინშია. თინამ თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა იოთოსლში მასწავლებლობს. ალი-თემურელ თემურ პაპიაშვილის დედა კი ახლა სტუდენტი, აქ სწავლობს, თბილისში. თემურის გვარში მარინე გაიხსენა სულეირას — ბავშვთა სახლის თავმჯდომარე. მარინეც პაპიაშვილია, მაგრამ რუსთაველთან. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლობს. 16 წლის მარინე ჭკვიანი და საქმიანი. თამარ ხელმძღვანელი კიდეც რომ ვერ მოვიდეს, მარინე უმისობას არ დაატყობს აქაურობას: პიონერთა ოთახში ისევ ისე გრძელდება ტურნირი ჭადრაკში, კვლავ მეცადინეობს სიმღერის გუნდი, მოცეკვავეთა წრე. დრო გავა და, მარინეც შეიძლება პიონერხელმძღვანელი გახდეს. თამარ ბაჩაკაშვილიც ხომ ამ საბავშვო სახლში გაიზარდა, ინეზა მასწავლებელიც, ზინა მასწავლებელიც.

აქ ყოველწლიურად ახალ-ახალი ბავშვები მოდიან. თუ ამ წვიმაში სულეირას დედამ ჩამოსვლა მოახერხა, თავისი ჩვეულ ახალ ბავშვებს გააცნობს: ელგუჯა ბლიაძეს, თამაზ ბაბუციძეს, ტანია კუპავევას, გიორგი დუმბაძეს, გალინა გრიგოლაძეს, გიორგი დადეშქელიანს — ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებს.

სულეირა დედას უამბობს ლენინის მუზეუმზე, აჩვენებს ფოტოსტენდებს, ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ მიუძღვნეს პატარებმა; უამბობს შეხვედრაზე, რომელიც ძველ ბოლშევიკებს გაუმართეს, თავიანთი ნამუშევრების გამოფენაზე, ტაბახმელას ხეობაში მოწყობილ ლაშქრობაზე, ლიტერატურულ საღამოზე...

ჰოი, რამდენი კეთილი დღე განუცდია სულეირას ფაცის საბავშვო სახლში მოსვლის შემდეგ, რამდენი რამ ენახავს: მეტეხის ციხე, ავლაბრის არალეგალური სტამბა, ნარიყალა — ყველაფერი საკვირ-

სულეირა რამაზანოვა
(ზემოთ)



საბავშვო სახლის აღსაზრდელები. ინგილო ბავშვები.

ველი და განუმეორებელი; ოპერის თეატრშიც იყო და „დაისს“ მოუსმინა; ცეკვები ისწავლა, კინოთეატრებშიც იარა, ზედაზენსა და მცხეთას ეწვია...

წვიმს... თანდათან უფრო მსხვილდებიან წვეთები. ნეტა ალიაბადშიც ასე გადაუღებლად ხომ არა წვიმს, დედამისი განზრახვაზე ხელს ხომ არ აიღებს და ამ დღესასწაულზე შინ არ დარჩება? მაშინ ვილას უამბობს სელვირამ თავისი საამბობი?

თუმცა, რატომ? ეს ერთი ხანია ჩეხოსლოვაკელ ბავშვებთან აქვს მიმოწერა რაზმს, მოსკოველ და ლენინგრადელ თანატოლებთან კი უფრო ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებთ. სელვირაც ადგება და თავისსავით სიით მეთორმეტეს გაუგზავნის ბარათს. იქიდან გულთბილი პასუხი დაუბრუნდება, მერე კიდევ გაუგზავნის და საინგილოში მიიპატიჟებს, ბოლოს, თვითონაც ინახულებს მოსკოვსა და ლენინგრადს...

სელვირას ძალიან მოსწონს ჩოგბურთი. ერთხელ, მთელი საღამო თამაშობდა, ყველა თანატოლს უგებდა, მაგრამ მერე უფროსები მოვიდნენ და, აბა, იმათ როგორ დასჯაბნიდა. შოთა არსენიძე, ნორა გამხარაშვილი, ლენა ბაცაშვილი ტექნიკუმში სწავლობენ. ბიჭი მანქანათმშენებელი უნდა გამოვიდეს, გოგონები — კოოპერაციის მუშაკები. ლენაცა და ნორაც კახიდან ჩამოვიდნენ. კარგები არიან, ტკბილად ექცევიან სელვირას. ჰოდა, ამათაც შეიძლება უამბოს თავის ოცნებასა და წადილზე. მხარდაჭერა, წაქეზება ძალას შემატებს...

მგონი, ცოტა მიწყნარდა წვიმის შხაპაშხუპი, იქნებ ხვალისათვის გამოიდაროს! ო, რა ლამაზია თბილისი, როცა ნაწვიმარზე კაშკაშა მზე გამოიხედავს. როგორ ბრწყინავს და ელვარებს ყველაფერი, როგორ მძაფრია ფოთოლთა სურნელი; ახსოვს, სწორედ ასეთი, ნაწვიმარზე გამოსული დარი იდგა საბჭოთა კავშირის გმირს — ვლადიმერ ნანეიშვილს რომ მოუწყვეს შეხვედრა. რა სიხარული იდგა მათს საბავშვო სახლში. ისინი გარს ეხვეოდნენ გმირს, ცდილობდნენ დაემახსოვრებინათ მისი ყოველი სიტყვა, გამოხედვა, ღიმილი.

ჩანს, გადაიღო... მხოლოდ საწვიმარი მილებიდანღა მოწანწკარებს სახურავებზე შერჩენილი წყალი. ბედი გაქვსო, — ხშირად უთქვამს დედას. თუ ბედი აქვს, ხვალ გამოჩნდება. მარიამ მასწავლებელი გამოიძახებს დერეფანში და მიახარებს: დედა ჩამოგივიდა, სელვირა!

სელვირა გამოვა გარეთ. დახვდება ნაწვიმარზე გაბრწყინებული, ვეება მზე და დედის ღიმილი. სელვირა თავს ახდის ხელკალათას და იქიდან გამოანათებენ მსხვილი, ინგილოური ბროწეულები, გახლეჩილი გულისპირიდან წმინდა ძოწეულით გადმონთებულნი.

მეორე დღეს კი 7 ნოემბერი გათენდება და სელვირა, სალიმათი და დედა მშრომელთა დიდ ზეიმს შეუერთდებიან.






ამ ორიოდე წლის წინათ გამომცემლობა „ნაკადულმა“ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნა საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კონკურსი. კონკურსში გამარჯვებული წიგნები მიმდინარე, საიუბილეო წელს დაიბეჭდა, მათ შორის — გიზო ჭარნაძის „ჩემი ყავარჯნიანი მამა“, რევაზ ხვედელიძის „ცისარტყელა“, ამირან ჭიჭინაძის „ზაფხული ჩემს უბანში“, მირონ ხერგიანის „თეთრი სახურავები“.

მოთხრობაში „ცისარტყელა“ მკითხველი გაეცნობა სოფლელი ბიჭებისა და გოგონების ცხოვრებას სამამულო ომის მიწურულს. წიგნის გმირები ბავშვობისა და სიჭაბუკის მიჯნასთან დგანან. მათი დავაჟკაცება ომის მრისხანე დღეებში ხდება; ქუჯი და მისი მეგობრები — ბაჩნა, ლევანა, ჯაბო ნაადრევად დინჯდებიან, ნაადრევად ხდებიან სერიოზულნი. ბავშვები თვალისჩინივით უფრთხილდებიან ომში დაღუპული მამების ხსოვნას და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათი სახელი არ შეარცხვინონ.




მოთხრობაში „ჩემი ყავარჯნიანი მამა“ სკოლის ცხოვრების ფონზეა დახატული ნუგზარისა და მისი ამხანაგების საქმიანობა. ნუგზარის შემეცნებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთის მხრივ პატიოსანი, ალალმართალი მშრომელები და მეორე მხრივ მუქთახორა, თავკერძა ადამიანები. წაიკითხავთ ამ მოთხრობას და არასოდეს დაგავიწყდებათ კეთილი კაცის რჩევა: ადამიანი იმისათვის უნდა ცხოვრობდეს ამქვეყნად, რომ სიკეთე თესოს, სხვისთვის იზრუნოს, ჰქონდეს რწმენა და ისწრაფოდეს ლამაზი მიზნის მისაღწევად.

მოთხრობა „ზაფხული ჩემს უბანში“ დაწერილია იმ ნორჩ თაობაზე, რომელმაც გამოსცადა ომის საშინელებანი. თბილისელი ბავშვები გურამი, ჩიდანა და სხვები ცდილობენ დაეხმარონ უფროსებს და თავისი წვლილი შეიტანონ მტერზე გამარჯვების საქმეში.

დიდი ოქტომბრის სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს ეძღვნება კრებული „გ ა ნ თ ი ა დ ი“. წიგნის სახელწოდება სიმბოლურია: ოქტომბრის რევოლუცია ხომ ტანჯული მშრომელი ხალხის ცხოვრების

## ოქროს საწყისი

**ვ. ი. ლენინი:**
პატრიოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც განმტკიცებულია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე განცალკევებულ სამშობლოთა არსებობით.

**ი. გრიშაშვილი:**
„ეს მთა ჩვენია! ეს ხე ჩვენია!"—
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს.
თუკი რამ კარგი გადამრჩენია,
isიც სამშობლოს დროშად ანთია.

**მ. გურიელი:**
სამშობლოთ შენი მარად გახსოვდეს,
თუკი გსურს გახდე ადამიანად.

**რ. ერისთავი:**
არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

**გ. ლეონიძე:**
სამშობლო—ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი.

**გრ. ორბელიანი:**
ჰე, მამულო საყვარელო,
ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს ალტაცების
სიხარულითა ალვსილი?..

**გ. ტაბიძე:**
სამშობლო - არ დაივიწყოთ,
სამშობლო—უმთავრესია.

**ვაჟა-ფშაველა:**
სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ იხეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

**ა. წერეთელი:**
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა...

განთიადი იყო. კრებულში წაიკითხავთ როგორც ცნობილი, ისე ახალგაზრდა პოეტების საუკეთესო საბავშვო ლექსებს ოქტომბერზე. სამშობლოზე. ლენინზე. პოეტები უდიდესი სიყვარულითა და ალმაფრენით უმღერიან განახლებულ ქვეყანას, ამ ქვეყნის დამაარსებელს — დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. ჩვენი სამშობლოს ბედნიერ აწმყოსა და ნათელ მომავალს.

ალბათ ყველა თქვენგანი ოცნებობს გმირობაზე. ხშირად ეკითხებით საკუთარ თავს: რა არის გმირობა, რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ გმირი გახდე, შესაძლებელია თუ არა გმირობა მშვიდობიან დღეებში?

ამ კითხვებზე ერთბაშად პასუხის გაცემა ძნელია. წაიკითხეთ წიგნი „გმირი ბავშები", რომელიც გამომცემლობა „ნ ა კ ა დ უ ლ მ ა" თქვენთვის მოამზადა, ჩაუფიქრდით ამ წიგნში მოთხრობილ ნამდვილ ამბებს. ის გმირი ბავშვები სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: ზოგი ოციან წლებში საქმიანობდა, ზოგი დიდი სამამულო ომის წლებში იბრძოდა, ბევრი კი ახლა, თქვენს გვერდით სჩადის სასახელო საქმეებს.







მოთხრობაში „თეთრი სახურავები" ასახულია სვანეთის ბუნების სიდიადე, სვანი ახალგაზრდების, მესტიელი მოსწავლეების ცხოვრება, მათი საქმიანობა.

მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირის, ტატაშის მამა კავკასიის დაცვას შეეწირა. ტატაში ობოლია, მაგრამ მას კეთილი ადამიანები მფარველობენ. მარტოხელა ბიჭი ბიძასთან იზრდება. ყოველწლიურად, სასკოლო არდადეგებზე ადის მთაში და სოფლის საქონელს უვლის.

სწორედ აქ, პირქუშ უშბასთან ახლოს, ჯიხვების საუფლოში, ტატაში შემთხვევით გადააწყდება თანასოფლელ კაცს, რომელმაც ერთხელ შეურაცხჰყოფა მიაყენა მას. იგი არ დაიბნევა და სიკვდილის პირას მისულ ადამიანს დიდი წვალებით ჩამოიყვანს მწყემსების სადგომამდე. თვითონ ტატაში ლამის ეწირება ამ ამბავს, მაგრამ საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს, ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება.

ჯ. ჭანტურაია



## კონკურსი

მიეძღვნება **დიდი ოქტომბრის**

50 წლისთავისადმი

დასრულდა ჟურნალ „პიონერის" მიერ 1965 წელს ნორჩ შემოქმედთათვის გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპიც. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამება ჩვენი ჟურნალის იუბილეს, მისი დაარსების 40 წლისთავს დავუკავშირეთ. მეორე ეტაპი [illegible] და მის შედეგებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე ვაჯამებთ.

ჟურნალი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ როგორც პირველ, ასევე მეორე ეტაპშიც კონკურსმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და არა ერთი ნიჭიერი შემოქმედი გამოავლინა. [illegible]

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე

## კონკურსის ჟიურემ

### პირველი პრემია

1. ლილა ხაჩიძეს — ლექსების ციკლისათვის. გორის 1-ლი საშ. სკოლის IV კლ. მოსწავლეს.

### მეორე პრემია

1. მერაბ ხუცურიანს — ქანდაკებისათვის „პაპა ბეჟიკო". ოზურგეთის საშ. სკოლის V კლ. მოსწავლეს.
2. ნინო მუშკუდიანს — ლექსისათვის „ფოთლები". თბილისის 1-ლი საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლეს.
3. დავით კლდიაშვილს — მინიატურისათვის „სახატო დავალება". ქუთაისის მე-8 საშ. სკოლის V კლ. მოსწავლეს.
4. ზურაბ ქანთარიას — ნახატებისათვის „ოსინდი" და „ნატურმორტი". ფოთის მე-5 საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლეს.

### მესამე პრემია

1. ირაკლი სალიანს — ლექსისათვის „ჭინჭარი". მესტიის საშ. სკოლის VII კლ. მოსწავლეს.
2. ნანა მუჯირის — ლექსისათვის „ფიფქები". თბილისის მე-60 საშ. სკოლის IV კლ. მოსწავლეს.
3. კახა დათიაშვილს — ქანდაკებისათვის „ბაბუ უშიშარი". თბილისის მე-4 საშ. სკოლის X კლ. მოსწავლეს.



ლილა ხაჩიძე



მერაბ ხუცურიანი



ნინო მუშკუდიანი



დავით კლდიაშვილი



ზურაბ ქანთარია



ირაკლი სალიანი



ნანა მუჯირი



კახა დათიაშვილი




მწერალ იური კორინეცის მოთხრობამ „ცხრა მთას იქით, შორეთში“ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ საბავშვო მოთხრობების საკავშირო კონკურსზე პირველი პრემია მიიღო. გთავაზობთ ამ მოთხრობის ნაწყვეტს.

## «ძლ. კარგი»

სკოლიდან ჩინებულ ხასიათზე ვბრუნდებოდი. ჯერ ერთი, პირველი მაისი ახლოვდებოდა, მეორეც, არითმეტიკაში „ძლ. კარგი“ მივიღე. რაც მთავარია, ისე მივიღე, რომ არავინ დამხმარებია.

იმ დროს, როცა მე დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი, „ხუთიანი“ არ იწერებოდა, არც „ოთხიანი“, არც „ორიანი“ და არც „ერთიანი“. მაშინ სხვა ნიშნები იყო. „ძლ. კარგი“ (ძლიერ კარგი), „კრგ“ (კარგი) „დამ“ (დამაკმაყოფილებელი), „ცდ“ (ცუდი), „ძლ. ცდ“ (ძლიერ ცუდი). მათემატიკაში „დამ“-ზე მაღალ ნიშანს არასოდეს ვღირსებივარ. უფრო ხშირად „ცდ“-ს და „ძლ. ცდ“-ს ვღებულობდი, — განსაკუთრებით საკონტროლო ნამუშევრებში. არ შედიოდა მათემატიკა თავში და რა შექნა! ხომ ხდება ხოლმე, რომ კაცს არ ეხერხება რამე! ბიძის, მაგალითად, ყველაფერი ეხერხებოდა, მაგრამ ხატვა არა. სამაგიეროდ, ხატვა მე მეხერხებოდა. მართალია, ხანდახან ხატვაშიაც „ცდს“-ს ვღებულობდი, მაგრამ ეს მაშინ როცა ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ა დ ვხატავდი. ამიტომ, ამ ნიშანს მაინცდამაინც არაფრად ვაგდებდი. „ყოველგვარ საქმეში საჭიროა მისწრაფების გაღება, განსაკუთრებით კი ხელოვნებაში, — მეუბნებოდა ბიძია, — რადგან ხელოვნება — ძიებაა, თანაც უბრალო რამის კი არა, საკუთარი თავის ძიება!“ „საკუთარი თავის ძიება“ — ნიშნავს საკუთარი თავის პოვნას, ამაღლებული გაგებით. „ამაღლებული გაგებით“ ბიძაჩემის საყვარელი გამოთქმა იყო. ამაღლებული გაგებით საკუთარი თავის პოვნა, არც ისე იოლი საქმეა. ხელოვნებაში ეს ნიშნავს, მაგალითად, იყო კარგი მხატვარი... მაგრამ ესეც არ კმარა, ისე უნდა ხატავდე, რომ შენი ნახატი სხვებისას არ ჰგავდეს. არც ერთი კარგი მხატვარი მეორე მხატვარს არ ჰგავს. იგი მხოლოდ თავის თავს ჰგავს. როცა კაცი მხატვრობას იწყებს, იგი აუცილებლად ჰგავს ვიღაცას, ეს იმიტომ, რომ მასში საკუთარი „მე“ ჯერ კიდევ მიძინებულია! საჭიროა მოძებნო და გააღვიძო საკუთარი „მე“! — მეუბნებოდა ბიძია. მაშინ ნახატები სხვისას არ დაემგვანება, რადგან ყოველ ადამიანს შეუძლია თქვას ისეთი რამ, რისი თქმაც სხვას არ ძალუძს. ყოველი ადამიანი გარე სამყაროს თავისებურად, სხვისაგან განსხვავებულად აღიქვამს. ამას აქვს სწორედ ფასი, რადგან, თუ ადამიანებს ეტყვი იმას, რაც თვითონ არ იციან, შენ მათთვის აღმოაჩენ რაღაც ახალს, — ასე მეუბნებოდა ბიძია. აღმოჩენები კი კაცობრიობას ამდიდრებენ, წინ სწევენ! ამიტომ, თუ გინდა ახალი რამ თქვა, აუცილებელია მოძებნო საკუთარი „მე“, ამისათვის კი ბევრი, ბევრი შრომაა საჭირო. მხოლოდ შრომაში შეიძლება საკუთარი თავის პოვნა. ბევრი შრომა, ბევრი ფიქრია საჭირო, აზროვნებაა საჭირო! შრომისა და აზროვნების გარეშე ქვეყანაზე არაფერი არ კეთდება.

საკუთარი თავის ძებნა მარტო მხატვრობაში როდია საჭირო. მთავარია იპოვნო საკუთარი „მე“ ცხოვრებაში — ესე იგი, იპოვნო შენი მოწოდება, შენი საყვარელი საქმე, ის საქმე, რისთვისაც ხარ დაბადებული. მაგრამ ეს იოლი ამბავი როდია! ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მაგალითად მეეზოვემ, რომელიც კარგად ჰგვის ქუჩას და უყვარს თავისი საქმე, იპოვნა თავისი თავი, თავისი „მე“, მოძებნა საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. კარგია, როცა ადამიანი თავის თავს იპოვნის! სამწუხაროდ, ბევრი ისე ატარებს მთელ ცხოვრებას, რომ საკუთარ თავს ვერ პოულობს! ასე რომ, თქვენც ეძიეთ თქვენი თავი, თქვენი „მე“! წარმატებას გისურვებთ ამ ძებნაში! მაგრამ, გახსოვდეთ: სხვა ვერასოდეს ვერ აღმოაჩენს თქვენში თქვენს „მეს“. ეს თვითონ თქვენ უნდა შეძლოთ. სხვას მხოლოდ დახმარება შეუძლია, — ასე მეუბნებოდა ბიძაჩემი. მე მაგალითად, ბიძაჩემი დამეხმარა. ბიძაჩემი რომ არა, შესაძლოა, ვერც მეპოვნა საკუთარი „მე“. ბიძაჩემის წყალობით კი ძალზე მალე ვიპოვე ჩემი თავი.

ბიძაჩემმაც იპოვნა თავისი „მე“. მან თავისი თავი რევოლუციაში იპოვნა. მოახდინა რევოლუცია და შექმნა საბჭოთა წყობილება. მერე პირველ საბჭოთა ქარხნებსა და ფაბრიკებს აშენებდა, კოლმეურნეობებს აყალიბებდა. ესეც რევოლუცია იყო — დიდი რევოლუცია, — აქ იპოვნა ბიძაჩემმა თავისი მოწოდება. ბიძაჩემი ძალიან ბედნიერი კაცი იყო, რადგან ძალზე ადრე იპოვნა თავისი თავი, თავისი მოწოდება.

ჩემი მოწოდება კი ხელოვნებაა. მათემატიკა არასოდეს არ ყოფილა ჩემი მოწოდება. ბიძაჩემმა იცოდა ეს. მართალია, იგი მამეცადინებდა ხოლმე მათემატიკაში, მაგრამ ისე, სხვათაშორის, მხოლოდ იმიტომ, რომ „ძლ. ცდ“ არ მიმეღო. მათემატიკა სკოლის დამთავრებამდე სულს მხდიდა... გამაწამა კაცი. ახლაც მიკვირს, როგორ დავამთავრე სკოლა... ბიძაჩემი და ლიდია მასწავლებელი რომ არა, ალბათ ვერც დავამთავრებდი. ლიდია მასწავლებელი სკოლის დირექტორი იყო, თანაც ალგებრას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას გვასწავლიდა. ასე რომ, მეათე კლასამდე მის ხელში ვიყავი. პოდა, ეს ლიდია მასწავლებელი იყო სწორედ, რომ „მე[illegible] მათრევდა“... როგორ მიმათრევდა? როგორ და, როგორც დაგიბარებით!

ვთქვათ, ლიდია მასწავლებელმა დაფაზე მაგალითი დაწერა და გამიძახა. საერთოდ, ერიდებოდა ჩემს გამოძახებას და იშვიათად მიძახებდა ხოლმე. მაგრამ ათასში ერთხელ მაინც ხომ უნდა ვეთხა რამე?! მათემატიკის გაკვეთილზე რომ გამიძახებდნენ, გულზე აუწერელი ნაღველი შემომაწვებოდა ხოლმე, თუმცა ვიცოდი, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდებოდა. მერხიდან წელმოწყვეტილი ავდგებოდი და დაფისკენ მივლასლასებდი. ლიდია მასწავლებელს ხელში სახელმძღვანელო ეჭირა და მკაცრად მიმზერდა. სახე ჰქონდა მკაცრი, თორემ სინამდვილეში მეტად კეთილი ქალი იყო. მე განსაკუთრებით ვუყვარდი და ერთობ თბილად მეპყრობოდა.

— რადგან შენ ძალიან გიყვარს მოგზაურობა, — მეტყოდა ხოლმე ლიდია მასწავლებელი, — გაძლევ ამოცანას მოგზაურობაზე. აბა, წაიკითხე ხმამაღლა.

მე ვკითხულობდი:

„მოტორიან ნავს უნდა გაევლო 220 კილომეტრი. პირველი 60 კილომეტრი საათში 30 კილომეტრის სიჩქარით გაიარა. დანარჩენი —40 კილომეტრის სიჩქარით. რამდენ საათში გაივლიდა ნავი მთელ მანძილს?“

დავამთავრებდი კითხვას, დავდუმდებოდი და გამოშტერებული მივაჩერდებოდი დაფას.

— ამოცანის პირობა გასაგებია? — მეკითხებოდა ლიდია მასწავლებელი.

მე თავს ვაკანტურებდი.

— იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენ საათში გაიარა ნავმა პირველი 60 კილომეტრი, საჭიროა 60 გავყოთ 30-ზე... ეს გინდოდა გეთქვა, ხომ?

მე კვლავ თავს ვაკანტურებდი.

— სავსებით სწორია! — ამბობდა ლიდია მასწავლებელი.

ეს მისი საყვარელი გამოთქმა იყო.

— დაწერე.

მე ვწერდი: „60:30=2“ — ეს კი ვიცოდი, თქვენ სხვა მიიხმარეთ თორემ!

— სავსებით სწორია. ახლა, განვაგრძოთ. პირველი 60 კილომეტრი ნავმა 2 საათში გაიარა. რამდენი კილომეტრი დარჩა გასავლელი?

მე ისევ გამოლენჩებული მივჩერებოდი დაფას, ვწრიალებდი და ფეხს წამდაუწუმ ვინაცვლებდი, კიბორჩხალასავით ვწითლდებოდი.

— 220—60=... დაწერე!

მე ვწერდი: „220—60=“... — აქ შევდგებოდი და გატანჯული ვფიქრობდი...

— 160, ხომ?

მე თავს ვუქნევდი და ვწერდი: „160“.

— სავსებით სწორია! — ამბობდა კმაყოფილი ლიდია მასწავლებელი, — 160 კილომეტრი ნავმა საათში 40 კილომეტრის სიჩქარით გაიარა. 160 გავყოთ 40-ზე...

ვწერდი: „160:40=...“

—4-ს, სავსებით სწორია...

მეც ვწერდი: „4“.

კლასში ხითხითებდნენ.

# ცხრა მთას იქით, შორეთში

იური კორინეცი

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

ლიდია მასწავლებელი კი ამბობდა:

— ნუ ხმაურობთ, ბავშვებო, ხელს გვიშლით! ამგვარად, პირველი 60 კილომეტრი ნავმა 2 საათში გაიარა. დანარჩენი 160 კილომეტრი კი 4 საათში... ოთხს მივუმატოთ ორი იქნება...

მე ვწერდი: „6 საათი".

— სავსებით სწორია! — აღფრთოვანებული ამბობდა ლიდია მასწავლებელი. — სავსებით სწორია, ძალიან კარგია! ყოჩაღ! დაჯექ შენს ადგილზე!

აი, ასე „მიმათრევდა" ლიდია მასწავლებელი, და მე, ასეთმა კაცმა, სავსებით დამოუკიდებლად, ლიდია მასწავლებლის დაუხმარებლად, „ძლ. კარგი" არ მივიღე! ისიც — საკონტროლო წერაში! თვითონაც ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოხდა ეს: ამოცანის პირობა სწრაფად გავიგე და ამოცანაც უცებ ამოვხსენი. მაგრამ, რაც მთავარია, ყველაზე ადრე, პირველმა მე დავამთავრე წერა. ბავშვები ისევ წერით იყვნენ გართული, მე რომ ხელი ავიწიე:

— დავამთავრე, ნება მომეცით, კლასიდან გავიდე!

მოსწავლეებმა გადმომხედეს. ყველა გაოცებული იყო, ვალიაც. ვალია ფრიადოსანი იყო და საკლასო სამუშაოს პირველად მუდამ ის ამთავრებდა ხოლმე, ახლა კი მე დავასწარი. გაოცდებოდა აბა რა დაემართებოდა. ლიდია მასწავლებელსაც გაუკვირდა. იმათ კი არა, სიმართლე გითხრათ, მეც გამიკვირდა. დავჩერებოდი ჩემს საკონტროლო სამუშაოს და მენანებოდა კიდეც მასთან გაყრა, მაგრამ კლასიდან რომ პირველს მინდოდა გასვლა? ჩვეულებრივ, კლასიდან ყველაზე ბოლოს მე გავდიოდი, ხანდახან იმ დროს გავდიოდი როცა უკვე ახალი გაკვეთილის დაწყების ზარი ირეკებოდა. ზოგჯერ სულაც ვერ ვასწრებდი დასვენებაზე გასვლას და ორი გაკვეთილი გადაბმულად ვიჯექი მერხზე. არც ეს მშვე-





ლოდა, მაინც დასვრილ-დაჯღაბნილ ნამუშევარს ვაბარებდი და „ძლ. ცდ"-ს ვღებულობდი. ახლა კი ყველაზე ადრე დავამთავრე და სწორადაც ამოვხსენი, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული! ლიდია მასწავლებელმა მკითხა:

— დარწმუნებული ხარ, რომ დაამთავრე?

— დარწმუნებული ვარ!

— მაშ, შეგიძლია გახვიდე!

გაკვირვებისაგან ბავშვებმა პირი დააღეს; მე კი ცხვირაბზეკილი გავედი კლასიდან. მეორე დღეს, სწორედ იმ დღეს, რომელზეც ახლა ვყვები, ლიდია მასწავლებელმა საკონტროლო რვეულები მოიტანა და ამოცანები გავარჩიეთ. რადგან ყველაზე კარგად მე მქონდა ამოხსნილი, პირველად ჩემი ნამუშევარი გავარჩიეთ. ამოცანას არასოდეს არა აქვს რამდენიმე სწორი პასუხი. პოდა, ის ერთადერთი პასუხი, უმოკლესი და ორიგინალური გზით უნდა მიიღო. მე ვიპოვე ასეთი გზა! ლიდია მასწავლებელმა დაფასთან გამიძახა და ამოცანა მთელი კლასის წინაშე ამომახსნევინა. როცა დავამთავრე, ლიდია მასწავლებელმა სიტყვა წარმოსთქვა:

— აი, ხომ ხედავთ, ბავშვებო, რას შეუძლია მიაღწიოს კაცმა! ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს თქვენი ამხანაგი! ჩვენ ვიცით, რომ მათემატიკაში იგი სუსტია. მათემატიკა არაა მისი მოწოდება! ხდება ხოლმე, რომ ადამიანი ზოგიერთ რამეში მოიკოჭლებს. ერთი საქმე ისე არ ეხერხება, როგორც მეორე. მიშას, მაგალითად, ხატვა ეხერხება, ეს ყველამ შესანიშნავად ვიცით, ამოცანას კი მუდამ დიდი გაჭირვებით ხსნის. დღეს კი რას ვხედავთ? ჩვენ ვხედავთ, რომ მან შესანიშნავად ამოხსნა ამოცანა, ამოხსნა ორიგინალურად, გონებამახვილურად! ამოხსნა უბრალოდ და სავსებით სწორად! რატომ მოხდა ასე? ასე იმტომ მოხდა, რომ მიშა სასოწარკვეთილებას კი არ მიეცა, სულით კი არ დაეცა, პირიქით, შეუპოვრად მეცადინეობდა. მიშა მეუბნებოდა ბიძაჩემი მამაცადინებსო და აი — შედეგიც! შესანიშნავი შედეგია! თითოეულ თქვენგანს შეგიძლიათ ასეთ შედეგს მიაღწიოთ. მაგალითად, სკობელევს! თუ შეუპოვრად იმეცადინებს, მასაც შეუძლია ასეთ შედეგს მიაღწიოს. ელისეევსაც შეუძლია! ელისეევსა და სკობელევს ფეხბურთის თამაში უფრო უყვართ, ეს არაა ცუდი საქმე, მაგრამ ზომიერებაა საჭირო. მათაც შეუძლიათ მათემატიკაში წარმატების მიღწევა, თუ მომავალშიც ასეთი ცეტები არ იქნებიან, თუ მუყაითები და შრომისმოყვარენი გახდებიან. ყოჩაღ! — მომიბრუნდა ბოლოს ლიდია მასწავლებელი. — დაჯექი ადგილზე!

## ლაპარაკი უსიამოვნებებზე

მე და ბიძაჩემი მარტონი რომ დავრჩით, ჯერ ჩემი საკონტროლო ვაჩვენე და მერე ისე, სხვათაშორის ვკითხე:

— შეგხვედრია თუ არა უსიამოვნება?

— არავითარი უსიამოვნება არ შემხვედრია! —მითხრა ბიძიამ, — ყველაფერი რიგზე მიდიოდა.

— მაშ, არავითარი უსიამოვნება არ შეგხვედრია?

— არავითარი-მეთქი! რა უნდა შემხვედროდა? ექსპედიციამ შესანიშნავად ჩაიარა...

— ამას კი არ გეკითხები, საერთოდ-მეთქი. საერთოდ, ცხოვრებაში..

— აჰ, საერთოდ? მერე ამას რატომ მეკითხები?

— ისე, სხვათაშორის... შენ არასოდეს გიამბნია ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის უსიამოვნებაზე. ერთი უსიამოვნო ამბავი მაინც მიამბე შენი ცხოვრებიდან.

— მოდი, სასიამოვნო ამბებზე ვილაპარაკოთ, ჯობია...

— არა, ბიძია! მე მართლა გეკითხები, კი არ ვხუმრობ...

— თუ მართლა მეკითხები, მაშ მისმინე...

ბიძიამ ჩიბუხი ამოიღო, თუთუნით გატენა და გააბოლა.

— ერთხელ კინალამ სიცოცხლეს გამოვესალმე...

— მოკვლას გიპირებდნენ?

— დაახლოებით ასე იყო...

— თეთრები?

— ჭრელები! — გაეცინა ბიძიას.

— რომელი ჭრელები? ჭრელები ვინღა იყვნენ?

— არსებობს ჭრელი ტახი!

— კარგი რა, ბიძია!

— მისმინე! — მითხრა ბიძიამ, — მე არ ვხუმრობ, ძველი ამბავია, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. იმხანად მე და ჩემი მშობლები ჩრდილო კავკასიაში ვცხოვრობდით. ცამეტი წლისა ვიყავი, მაგრამ მამაჩემს უკვე კარგად ვყავდი დაგეშილი და სანადიროდ დავყვებოდი.

— ბაბუაჩემს დაყვებოდი?

— ბაბუაშენს დავყვებოდი. ბაბუაშენს ნადირობის ტრფიალი დედის მუცლიდან დაჰყვა, მეც მისგან გადმომეცა შთამომავლობით. აუ, რა მონადირე იყო! — ბიძაჩემმა კვამლის ბოლქვები გამოუშვა პირიდან. — იმისთანა მონადირე ჩემს დღეში არ შემხვედრია! მე იმასთან სად მოვალ! არაფერი არა ვარ იმასთან შედარებით! თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ ცუდი მონადირე! ჰოდა, იმას ვამბობდი... მე და ბაბუაშენი ხშირად დავდიოდით გარეულ ტახებზე სანადიროდ. ჩვენი მხარე სავსე იყო ტახებით. მთაში ვნადირობდით. ბაბუაშენი შეჩვეული იყო მთას და ისე თავისუფლად დანავარდობდა აღმა-დაღმა, თითქოს აგერ, ამ ოთახში დასეირნობსო. თან სულ მიწას ჩასჩერებოდა, საოცრად იცოდა კვალის აღება, ნაკვალევს ისე კითხულობდა, როგორც ძენ — წიგნს. ყოველი გადაბრუნებული ქვა, ან გადამტვრეული ტოტი მის წინ წიგნივით გადაიშლებოდა ხოლმე. დახედავდა და იმწამსვე გეტყოდა, იმ გზაზე შენზე უწინ კაცმა გაიარა თუ მხეცმა, როდის გაიარა და საით წავიდა... იმასაც კი ატყობდა, დაღლილი იყო, თუ არა.

ერთხელ, მთებში დილაადრიან წავედით. იქამდე ვიარეთ აღმა-დაღმა, ვიდრე გარეული ღორის კვალს არ წავაწყდით. ბაბუაშენი ასიოდე ნაბიჯს გაივლიდა, მერე ქარის მიმართულების გასაგებად შედგებოდა, ცერა თითზე დანით ფრჩხილს აიფხეკდა და ანაფხეკს თვალს გააყოლებდა, საით გაიფანტებაო. ასე იგებდა ქარის მიმართულებას. ღორს ქარის საწინააღმდეგო მხრიდან უნდა მივპარვოდით, თორემ სუნს იკრავდა და მერე მორჩა, სდიე თევზს წყალში! ფრთხილად, უხმაუროდ მივაბიჯებდით და ერთმანეთს პირობითი ნიშნებით ველაპარაკებოდით. უცებ, მამა საშინლად დამელრიჯა.

— როგორ?

— აი ასე.

ბიძაჩემმა სახე დალრიჯა. თავი მხრებში ჩარგო, თვალები ისე მოჭუტა, ძლივსღა იხედებოდა. ცხვირი გაბუშტა, ტუჩები გადმოაბრუნა და მთლად ღორს დაემსგავსა! მე თავი ველარ შევიკავე და ისეთი ხარხარი ამიტყდა, კინალამ სკამიდან გადმოვარდი.

— აი, ასეთი სიფათი ჰქონდა,—მითხრა ბიძიამ და პირიდან კვამლის რგოლები გამოუშვა. — მიხვდი, სადღაც ახლო ტახი დალანდა! გარეული ღორი მეტად შმაგი რამაა. თანაც ნამდვილი ეშმაკის ფეხი! თვალის დახამხამებაში შეუძლია ეშვით გამოგფატროს! დაჭრილ ტახზე, განსაკუთრებით კი სასიკვდილოდ დაჭრილ ტახზე, საშიში ქვეყანაზე არაფერია. ამიტომ, თუ ესვრი უნდა წააქციო კიდეც. გარეულ ღორს აუცილებლად კისერთან, ან ყურის ძირში უნდა მოარტყა, თორემ, სხვანაირად, ერთი გასროლით ვერასგზით ვერ წააქცევ.



მამამ მანიშნა და ორივენი, სულგანაბულნი, ფეხაკრეფით გავყევით ბილიკს. ხეებს ვისაფრებდით. თოფები შემართული გვქონდა. უცებ, ზედ ჩემს ცხვირწინ ღორს არ მოვკარი თვალი! დგას და დინგით მიწას ჩიჩქნის. არც ვაციე, არც ვაცხელე — დავუმიზნე და ვბეთქე... ტახი დაგორდა...

— უჰ, შენი გულისა! — წამოვიძახე გახარებულმა.

— შენი გულისა კი არა მომეჭრა თავი! — იყვირა ბიძიამ. — ვიფიქრე, მოკვდა-მეთქი და თოფი ხელახლა აღარ გავტენე. ღორს ბუჩქებში დავუწყე ძებნა. უცებ, ვაი შენ, ჩემო თავო. ამას რას ვხედავ! — გაათრებული ტახი პირდაპირ ჩემსკენ არ მოჰქრის! ტანკივით მოდიოდა. გადარეული ტანკი წარმოგიდგენია? აი, ისე, დალესილი ეშვები ტყვიამფრქვევის ლულებივით ჰქონდა აქეთ-იქით გამოშვერილი... დღემდე არ დამვიწყებია მისი საშინელი დინგი!

ბიძიამ კვლავ მიჩვენა ღორის სიფათი, მაგრამ ახლა აღარ გამცინებია.

— ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა! არ ვიცი, როგორ მოვასწარი, — ვუგანე და ტახმა ტყვიასავით ჩამიქროლა გვერდით, ისე ახლოს ჩამიქროლა, რომ თავიდან ფეხებამდე სისხლით გამწუწა. ჩემს უკან დიდი მუხა იდგა, ტახმა თავი ველარ შეიკავა და იმ მუხას დაეძგერა, ჩაერჭო ეშვებით... ამასობაში მამაჩემიც მოვარდა, დანა დააძრო და ტახი იქვე გაათავა! ო, როგორ მომხვდა მამაჩემისაგან მაშინ!

— რისთვის?
— როგორ თუ რისთვის? რისთვის და, რომ დავაცილე იმისათვის! იმისათვის, რომ თოფი ხელახლა აღარ გავტენე! ძალიან მკაცრად დამსაჯა.
— კუთხეში დაგაყენა?
— მაშ! რისი კუთხე, რა კუთხე! მე კუთხეში არ მაყენებდნენ! ხმაც არ გაუცია, მაგრამ ერთი ისეთი დამიბღვირა, რომ... აი ასე, — და ბიძაჩემმა ისე გადმომხედა, შიშისაგან სული ფრჩხილებში გამეპარა. რატომ გამეპარა სული ფრჩხილებში? იმიტომ, რომ, როცა კაცს ძალიან შეეშინდება, სული ფრჩხილებში გაიპარება და იქ მიიყუჟება ხოლმე. ესეც ბიძიამ ამიხსნა.
— ეგრე ნუ მიყურებ — ვთხოვე ბიძიას.
— აბა რა გეგონა! — გაეცინა ბიძაჩემს.
— ამაზე უარესი უსიამოვნება არ გადაგხდენია? — ვკითხე მე.
— ეს არ კმარა?
— კმარა, მაგრამ ეს ხომ ისე... ტირთან შეგემთხვა... თეთრებთან?
— რომელ თეთრებთან?
— როგორ თუ რომლებთან, თეთრებთან... ჩვენ მტრებთან!
— არც ეს დამკლებია, — თქვა ბიძიამ.
— მომიყევი რა! მიამბე რომელიმე ძალიან დიდ უსიამოვნებაზე. რევოლუციურ უსიამოვნებაზე.
ბიძია ჩაფიქრდა, ჩიბუხი დატენა და დაიწყო:
— ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა... ცხრამეტი წელი იდგა. დათქმულ ადგილისაკენ მივდიოდი, კვალი ვერ წავშალე და მზირი ამედევნა.
— რა მზირი?
— რა და ჟამუში! მზირი — იგივე ჟამუშია. მეფის მთავრობა რევოლუციონერთა სათვალთვალოდ ჟამუშებს ქირაობდა, გვდევდნენ, გვიჭერდნენ და — ციხეში გვსვამდნენ. თუ მარტო შენ დაგიჭერდნენ, კიდევ არაფერი, მაგრამ ორგანიზაცია რომ ჩაგეგდო...
— პარტია?
— პარტიის უჯრედი, რომლის წევრიც შენ იყავი. მარტო თუ ჩავარდებოდი — არ გატყდებოდი. პირში წყალს დაიგუბებდი. ან მთლად ტყუილს მოიგონებდი. მორჩა და გათავდა...
— მერე შენ დუმდი?
— თევზივით.
— გცემეს?
— ძალიან არა... მირტყამდნენ.
— გტკიოდა?
— მაშ არა! მაგრამ ეგ არაფერი. მთავარი ის იყო, რომ ფარულ ბინაზე მივდიოდი. ბინა კბილის ექიმს ეკუთვნოდა. მახსოვს, გვარად ციპერშტეინი იყო. კარზე აბრა ჰქონდა გაკრული: „კბილის ექიმი ციპერშტეინი". სინამდვილეში კი იქ კრებებისათვის ვიკრიბებოდით. იქ ვხვდებოდით ერთმანეთს ბოლშევიკები. ვმსჯელობდით პარტიულ საქმეებზე. ხანდახან პოლიციასაც იმ ბინაში ვემალებოდით. გასაგებია?
კი-მეთქი, თავი დავუქნიე. ბიძიამ კვლავ მოქაჩა ჩიბუხი.
— ჰოდა, იმას გეუბნებოდი... ერთხელ, კრებაზე მივეშურებოდი და კვალი კი ვერ წავშალე.
— კვალი როგორ უნდა წაგეშალა?
— მელიასავით! — წამოიძახა ბიძიამ, — მუდამ მელიასავით ვშლიდი კვალს! მაგრამ იმჯერად მოვტყუვდი. მახსოვს, სახლიდან გამოვედი. — მაშინ ზემლიანოი ვალთან ვცხოვრობდი. — გამოვედი სახლიდან და შევამჩნიე, რომ მითვალთვალებდნენ. ჟამუში მომდევდა კუდში. უჰ, რა სიფათი ჰქონდა!
— გარეული ღორივით?
— უარესი, — ბიძია კვლავ დაიღრიჭა, ისეთი სიფათი მიიღო, მაგვარი რამ ჩემს დღეში არ მინახავს.
გამეცინა.
— შენ გეცინება, მე კი მაშინ სასაცილოდ არ მქონდა საქმე! კვალის არევა მოვინდომე. ცენტრისაკენ ფეხით გავეშურე. ჩვენი ბინა რაზგულიაიზე იყო, სულ სხვა უბანში, მაგრამ ყასიდად ცენტრისაკენ წავედი. მთელი მაროსეიკა გავიარე, ლუბიანკამდე მივედი. ჟამუში არ მცილდებოდა. კონკას შევახტი — ჟამუშიც შემოახტა. კონკა ცხენებშებმული ტრამვაი იყო. მანეჟამდე მივედით. ჩამოვხტი — ჟამუშიც ჩამოხტა. ბრბოში გარევა ვცადე. ჩემს ჯინაზე ცოტა ხალხი იყო და არაფერი გამოვიდა. გავიარე ერთი კვარტალი, მეორე, მერე მოსახვევში შევუხვიე, ეზოში შევედი, გადავძვერი და სხვა გასასვლელში გავედი. არაფერი გამოვიდა — ჟამუში კვლავ უკან მომდევდა. ძალიან ვღელავდი. ამხანაგები მელოდებოდნენ, პროკლამაციები უნდა გადამეცა, კრასნაია პრესნიის მუშათა უბანში გასავრცელებლად. ბოლოს ეშმაკობა ვიხმარე: უცებ, ჭიშკარში ვდურთე თავი
— ყოჩაღ! — აღმომხდა მე.
— ყოჩაღი კი არა, დოყლაპია გამოვდექი! — იყვირა ბიძიამ, — ჟამუში თურმე ისევ უკან მომდევდა და მე ვერ შემიმჩნევია. ის ძაღლთაპირი ძალიან გამოცდილი ყოფილა! მხოლოდ მაშინ შევნიშნე, სახლს რომ მივადექი...
ბიძიამ კვამლი ზედ სახეში შემაბოლა.
ამხანაგები როგორმე უნდა გამეფრთხილებინა! — განაგრძო ბიძიამ, — ჩვენ დათქმული ნიშანი გვქონდა: თუ ცუდად იქნებოდა საქმე, ფანჯარაზე სამჯერ უნდა დაგვეკაკუნებინა...
მერე დააკაკუნე?
— დონერვეტერ*! როგორ შეიძლებოდა დაკაკუნება, თუ ჟამუში არ მცილდებოდა! მაგრამ გაფრთხილება მაინც მოვახერხე...

* ჭექა-ქუხილი — გერმანულად.





— პროკლამაციები?..
— მოვასწარი, სადღაც სანაგვე ყუთში ჩავჩურთე.
ბიძიამ კვლავ მოქაჩა ჩიბუხი.
— ეჰ, ვერ გამოვიდა კარგად... ვერც პროკლამაციები გამოვიყენეთ დანიშნულებისამებრ და მეც დამაპატიმრეს. მთავარი კი ის იყო, რომ სერიოზული ღონისძიება ჩაიფუშა.
— რა ღონისძიება?
— სერიოზული!
— კარგი რა, ბიძია?
— ოდესმე შეიტყობ, გრძელი ამბავია, აი, შეხედე, — იგი დაიხარა და მაგიდის უჯრა გამოაღო.
უჯრაში დასტა-დასტა ეწყო კანაფშემოკრული რვეულები. ჩვეულებრივი რვეულები იყო, ოღონდ გვარიანად შელახული. ასამდე იქნებოდა, შეიძლება მეტიც.
— ეს რაღაა?
— ეს ფოტოსურათებია... და სამსახურის ნუსხა.
— რომელი ნუსხა?
— ჩემი სამსახურების ნუსხა. აქაა აღნიშნული, სად და როდის ვმსახურობდი. ჩვიდმეტიდან მოყოლებული ოცდაცამეტამდე.
საშინელმა ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, ერთი სული მქონდა ვიდრე ამ ნუსხაში ჩავიხედავდი!
— გინდა, განახო? — მკითხა ბიძიამ.
— მინდა! — ძლივს გასაგონად ამოვღერღე.
ბიძიამ კონვერტი გახსნა და ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა და გამომიწოდა.
სუნთქვაშეკრულმა დავიწყე კითხვა:
**ამონაწერი რესპუბლიკის რევსამხსაბჭოს სამმართველოს საკანონმდებლო განყოფილების ნამსახურებრივი სიიდან.**
**გვარი, სახელი, მამის სახელი** — ფედენკო პეტრე ივანეს ძე.
**სად და როდის დაიბადა** — 1887 წელს, 10 დეკემბერს, ქ. ელისავეტპოლში.
**პარტიულობა** — სკკპ (ბ) წევრი 1905 წლიდან.
**სამუშაო ადგილი და დრო** — დაინიშნა სამხედრო გამომძიებლის თანამდებობაზე რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო ტრიბუნალში. საველე შტაბის ბრძანება № 57. 1917. 16 ოქტ.
შევიდა მოხალისედ წითელ გვარდიაში; ოცდამეცამეტე მსროლელთა პოლკი... 1918. აპრილი.
იმყოფებოდა ჰოსპიტალში სამკურნალოდ... 1918. აგვ.-დეკ.
მივლინებული იქნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. 1918. დეკემბერი.
მივლინებული იქნა ქალაქ ბერლინის წარმომადგენლობაში. 1919 იანვარი.
მოსკოვის საბჭოს პლენუმის დელეგატი მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მეორე გაერთიანებულ ყრილობაზე, გადამწყვეტი ხმით. 1920. დეკემბერი.
მივლინებულ იქნა ქალაქ ჰელსინგფორსის წარმომადგენლობაში. 1921. აპრილი.
მივლინებული იქნა თურქესტანის სამხედრო ოლქში, ბასმაჩების წინააღმდეგ მებრძოლი განსაკუთრებული ნაწილის განკარგულებაში. 1924. ივლისი.
იმყოფებოდა ჰოსპიტალში სამკურნალოდ. 1924. ნოემბერ-დეკ.
მივლინებული იქნა ხოპერის ოლქის ქვემო ვოლგისპირეთის თემში პოლიანი კოლექტივიზაციის ჩასატარებ-

ლად და ლატაკთა ჯგუფების დასარაზმავად. 1929. იანვარი.

გადავიდა შ. თ. ს.-ს (შრომისა და თავდაცვის საბჭო). განკარგულებაში. 1929. ივლისი.

მივლინებული იქნა მაგნიტოგორსკის კომბინატის მშენებლობაზე. 1930. მაისი.

მივლინებული იქნა დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე (დნეპრჰესი). 1932. აპრილი.

გადავიდა ჩრდილოეთის მთავარი საზღვაო გზის სამმართველოს განკარგულებაში. 1935. სექტემბერი.

**ამონაწერი სწორია.**

**წითელი არმიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროსი მეცნიერი მუშაკი: რ ო ს ლ ა ვ ც ე ვ ა.**

— აი, ეს მესმის! — ვთქვი და ჩავფიქრდი...

აი, თურმე რა კაცი ყოფილა ბიძაჩემი! მე ცხადია. უამისოდაც ვიცოდი, რა კაციც იყო იგი, მაგრამ მთლად ასეთი თუ იქნებოდა, მართალი გითხრათ, არ მეგონა.

ბიძიას შევხედე. თავი ჩაექინდრა და ჩაფიქრებული იჯდა. თმა აწეწოდა, საყელო გაღეღოდა, კბილებში გაჩრილი, ჩამქრალი ჩიბუხი ტუჩზე ჩამოჰკიდებოდა, გაფანჩული ულვაშები ჩიბუხზე ჰქონდა გადაფარებული. ხელები სავარძლის სახელურებზე დაეწყო. ნამდვილი ტარას ბულბა წარმომიდგა თვალწინ. ტარას ბულბას სურათი წიგნში მქონდა ნანახი — ზედგამოჭრილი ბიძაჩემი იყო.

—ბიძია, ბიძია, — ჩავჩურჩულე.

ბიძია შეკრთა. თავი წამოსწია და ჩიბუხი მოქაჩა. მაგრამ მაინც ჩაუქრა. მერე ასანთი ამოიღო, აანთო, ჩიბუხს მოუკიდა, წკლაპუნით მოქაჩა და კვამლში გაეხვია.

— რაზე ფიქრობ? — ვკითხე.

— უსიამოვნებებზე, — ჩაიდუდუნა ბიძიამ.

— ჯაშუშზე?

— ჯაშუშზედაც...

— კიდევ რაზე?

— საფიქრალი ცოტაა?

ბიძიას თვალებში ჩავხედე. ძალზე ჩაფიქრებული თვალები ჰქონდა.

— უარესიც დამმართნია...

— მაინც?

— გაიგებ! წაიკითხავ ამ რვეულებს და ყველაფერს გაიგებ... ოდესმე გაიგებ.

— აფსუს რომ პატარა ვარ! მაშინ შენთან ერთად რომ ვყოფილიყავი... მოგეხმარებოდი და ნაკლები უსიამოვნებები შეგხვდებოდა...

— ძალიანაც კარგია, პატარა რომ ხარ! — თქვა ბიძიამ, — ეს დიდებული ამბავია! ეს მემკვიდრეობაა! ეს თაობათა მონაცვლეობაა! გასაგებია?

— არა!

— თაობათა მონაცვლეობა! ამაშია სიცოცხლის მარადიულობა! — ხმამაღლა თქვა ბიძიამ, — შენ ჩემი შემცვლელი ხარ! შენ გესმის, რომ მე უნდა შემცვალო?

— მესმის.

— ჰოდა, ძალიან კარგი! — წამოიძახა ბიძიამ, — შენ განაგრძობ ჩემს საქმეს, იმ საქმეს, რისთვისაც მე ვიცხოვრე და ვიბრძოლე, და ახლაც მზადა ვარ თავი დავდო!

— შენ არასოდეს არ მოკვდები! — ვთქვი ჩუმად.

— შეიძლება! — მიპასუხა ბიძიამ, — შეიძლება... მაგრამ. თუ მოვკვდი... ცხრა მთას იქით, შორეთში ვიცოცხლებ, შენ კი ჩემს გზას განაგრძობ.

თარგმნა ზურაბ ლეჟავამ.



# ნასაკირალი

## ვიცნობთ თუ არა ჩვენ მშობლიურ კუთხეს?

მახარაძის რაიონში რაიონული ცენტრიდან 10-12 კილომეტრის დაშორებით — ნასაკირალზე — ამართულია ობელისკი. აქედან, 1905 წლის 20 ოქტომბერს გურიის შეიარაღებული წითელი რაზმები გაბედულად დაესხნენ თავს მეფის ჯარის ნაწილებს. ბრძოლა აჯანყებულ გლეხთა გამარჯვებით დამთავრდა.

1905 წელს, გურიას (მაშინდელი ოზურგეთის მაზრა, ახლა — მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები) ვ. ი. ლენინმა გლეხთა მოძრაობის ყველაზე მოწინავე მხარე უწოდა. გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ გურიაში მასობრივი ხასიათი მიიღო და 1905 წლის დასაწყისიდან ცნობილი გახდა მთელი რუსეთისათვის.

1905 წლის ზაფხულიდან გურიის რევოლუციური გლეხობა ენერგიულად ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის და მოუთმენლად ელოდა საბრძოლო მოქმედების დაწყებას. და აი, პარტიის მოწოდებით, პროლეტარიატი აღსდგა მთელ რუსეთსა და საქართველოში; ერთი საერთო სიგნალი და — გურიის მებრძოლი რაზმები იერიშზე გადავიდოდნენ; ასეთ სიგნალად გადაიქცა 1905 წლის ოქტომბერში მოსკოვში დაწყებული საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა; 15 ოქტომბერს გაფიცული იყო თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელოსნოების მუშები. რამდენიმე დღეში გაფიცვა მთელ საქართველოს მოედო.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის პირველ დღეებშივე გურიის გლეხთა მებრძოლმა რაზმებმა პირველ რიგში იერიში მიიტანეს პოლიციის საგუშაგოებზე სუფსაში, ნატანებში, ლანჩხუთში და სხვა ადგილებში, სადაც უფ-



# მცენარეთა მეფე

**„ნადირთა მეფე-ვეფხვია, მცენარეთა კი — ჟენშენი“,— ამბობენ ხოლმე აღმოსავლეთ აზიის მკვიდრნი. მართლაც, ჟენშენმა თავისი ფესვების სამკურნალო თვისებებით საქვეყნოდ გაითქვა სახელი.**

**ველური ჟენშენი სიმაღლით მუხლებამდე თუ მისწვდება კაცს. მისი პოვნა არც ისე ადვილია. იგი ცბიერია და ძნელად მისაგნებ ალაგას იმალება.**

**აღმოსავლელთა რწმენით, ეს მცენარე ყოველგვარ ავადმყოფობას არჩენს, აღადგენს ძალ-ღონეს, მოხუცებს ახალ-**

რო მეტი იარაღი ინახებოდა. რაზმელებმა განაიარაღეს მცველები, ხელთ იგდეს მრავალი შაშხანა და რევოლვერი.

16 ოქტომბერს შეიარაღებული რაზმი გარს შემოერტყა ჩოხატაურის პოლიციის საგუშაგოს და წინადადება მისცა ბოქაულს: მთელი იარაღი ხალხისათვის ჩაებარებინა, თვითონ კი თავისი ჩაფრებიანად (სტრაჟნიკებიანად) გადაკარგულიყო გურიიდან. მოხდა შეტაკება, რის შედეგად მოკლულ იქნა ერთი სტრაჟნიკი, დაიჭრა ორი. წითელრაზმელებმა ხელში ჩაიგდეს 10 ბერდანა ვაზნებით, 12 სანადირო თოფი, ორი რევოლვერი და სხვ. მეორე დღეს კი დააპატიმრეს ბოქაული და ორი სტრაჟნიკი.

18 ოქტომბერს, ოზურგეთის მაზრის უფროსმა, 120-მდე კაზაკისა და 13 სტრაჟნიკის თანხლებით ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ გასწია, რათა აღედგინა პოლიციის საგუშაგო და დაესაჯა თავდამსხმელნი. მეორე დღეს, გათენებისას, ჩოხატაურში ატყდა ზარების რეკვა, მოსახლეობა ტყეში გაიხიზნა; მებრძოლმა რაზმებმა იარალი აისხეს და დაიწყო მზადება ჯარის დასახვედრად. აჯანყებულმა გლეხობამ გადაწყვიტა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რისთვისაც შერჩეული იქნა მოხერხებული ადგილი ნასაკირალზე. გადაწყდა, რომ ნასაკირალიდან მოეწყოთ შეიარაღებული თავდასხმა მთავრობის ჯარზე, როდესაც იგი ჩოხატაურიდან უკან დაბრუნდებოდა. ამ მიზნით, ნასაკირალზე გათხარეს თხრილები, ტყეში მოაწყვეს ლაზარეთი, ყოველ მხარეს გააგზავნეს მზვერავები. ჩოხატაურელების გარდა ნასაკირალზე თავი მოიყარეს ბახვის, დვაბზუსა და გურიის სხვა სოფლის შეიარაღებულმა მებრძოლმა რაზმებმა.

ოზურგეთის მაზრის უფროსს ჩოხატაურში დახვდა დაცარიელებული სახლები, აფორიაქებული. იარაღისაგან დაცლილი პოლიციის საგუშაგო, დამფრთხალი მამასახლისი და სოფლის მწერალი. გაწბილებული მაზრის უფროსი თავისი კაზაკებითა და სტრაჟნიკებით მეორე დღესვე გაბრუნდა ჩოხატაურიდან.

ნასაკირალზე ჩასაფრებული რაზმელები მოუთმენლად ელოდნენ მეფის დამქაშთა გამოჩენას. 20 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, მაცნეების საშუალებით შეიტყვეს ჯარის მოახლოება და მოემზადნენ. ნასაკირალის მაღლობიდან ერთდროულად იჭექა ათობით თოფმა, გზატკეცილზე ზედიდზედ სკდებოდნენ ხელყუმბარები. კაზაკებმა საპასუხო სროლა ატეხეს, მაგრამ ვერას გახდნენ და ტყეში მიიმალნენ. მეორე დღესაც გაგრძელდა ბრძოლა, რომლის შედეგად მოკლული და დაჭრილი იქნა 20-ზე მეტი კაზაკი და სტრაჟნიკი. ექვსი მათგანი ტყვედ წაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ, ქუთაისის მაზრის გუბერნატორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ოზურგეთის მაზრის უფროსი წერდა: ამ თავდასხმას რომ დღისით ჰქონოდა ადგილი, არც ერთი ჩვენთაგანი ცოცხალი არ გადარჩებოდაო. შეძრწუნებული ადგილობრივი ხელისუფლება შეუდგა შეიარაღებული ძალების მომზადებას გურიაში გასაგზავნად. მაგრამ რევოლუციურ ბრძოლებში ნაცადი გურული გლეხობის გაბედულმა გამოსვლამ დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა მშრომელ მასებში და, როცა გურიის აჯანყების ჩასაქრობად ქუთაისიდან 570 ჯარისკაცი გაგზავნეს, ქუთაისის მაზრის შეიარაღებული წითელი რაზმები მოემზადნენ თავდასასხმელად. დაიძრა თუ არა სამხედრო ნაწილებითა და იარაღით დატვირთული ეშელონი, წითელმა რაზმებმა აყარეს ლიანდაგები; მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა; მოკლული იქნა 9 ჯარისკაცი, დაიჭრა—27. ჯარმა ველარ ჩააღწია გურიამდე. იმავე დღეებში თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, თელავში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები, სადაც გამოჰქონდათ რეზოლუციები გურიაში სამხედრო ნაწილების გაგზავნის წინააღმდეგ. მეფის ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა დროებით უკან დაეხია. აღსანიშნავია, რომ ამ დროს პლასტუნთა ბატალიონიც კი გაწვეულ იქნა ოზურგეთიდან. მთავრობის მოხელეებიც გაიფანტნენ. ხალხი თვითონ გახდა თავისი თავის ბატონ-პატრონი: გურიაში დროებით დამყარდა სახალხო ჭეშმარიტება.

გურიის გლეხობამ თავგანწირული, სახელოვანი ბრძოლით შესანიშნავი ფურცელი ჩასწერა რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიაში და ეს ობელისკიც ამ ამბის უკვდავსაყოფადაა აღმართული ნასაკირალზე.

**სოფიო ბერიძე**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი**

გაზრდავებს... ველური ჟენშენის ფესვი თავის წონაზე ორჯერ მეტ ოქროდ იყიდებოდა, დიდი ფესვები კი ალმასივით ფასობდა.

ამ სასწაულმოქმედ ფესვებს სხვადასხვანაირად იყენებდნენ: ნაყენის, ნახარშის, ფხვნილის, მალამოს და ჩაის სახით. მალამოს ამზადებდნენ ფესვის ფხვნილისა და კუს ქონისაგან, თან ძმარსაც უმატებდნენ. კორეელები კი ჟენშენის ფესვს გამოშიგნულ წიწილასთან ერთად ხარშავენ; ხარშავენ მანამ, სანამ არ მიიღება ერთგვარი ფაფა. ამ სამკურნალო ფაფას დღეში ერთხელ ღებულობენ ჩაის კოვზით. კორეაში არის ჟენშენის ჩაიც, ხის პატარა კოლოფებით. დიდი პოპულარობით სარგებლობს ჟენშენის ლუდი. ჟენშენი ას წელს და მეტ ხანსაც ცოცხლობს. მისი კარგად განვითარებული ფესვები ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ასეთი ფესვები განსაკუთრებით ძვირად ფასობდა მაგრამ ველური ჟენშენი ამჟამად ძალზე იშვიათად გვხვდება, ასობით ჰექტარ ტყეზე სულ ერთი ჟენშენი მოდის, ამიტომ, შორეულ აღმოსავლეთში გააშენეს ჟენშენის პლანტაცია — „ჯანმრთელობის მინდორი“. სახელგანთქმული მცენარის ფესვი დაემორჩილა საბჭოთა ადამიანს, გამოამჟღავნა თავისი საიდუმლოებანი. ჟენშენის მოყვანა ისწავლეს ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილებშიც: მოსკოვის ოლქში, კავკასიაში ურალში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში.

სულ უფრო ხშირად შეიძლება შევხვდეთ ჟენშენს ბოსტნებში და ფანჯრის რაფებზეც კი.





აილე თხელი ქსოვილის ორი ნაჭერი, დაადე ერთმანეთს და შენი გაშლილი თითების ზომაზე შეკერე ხელთათმანი, თითებს შორის არე არ ამოჭრა, ხელთათმანის ყელს ორი ზონარი მიაკერე, ჩამოიცვი ხელზე „ლასტები" და პერი, წყალში ველარავინ დაგეწევა.

ხომ მოგეწონა ეს წიგნების თარო? არ იფიქრო, რომ მის გაკეთებას დიდი ჯაფა სჭირდებოდეს. 80-მდე აგური, ხუთიოდე ფიცარი და —თაროც მზად იქნება, თუ საღებავსაც იშოვნი და თაროს შეღებავ, კიდევ უკეთესი.

სახელოსნოში მუშაობისას რომ ხელსაწყოები მუდამ ხელთ გქონდეს, არაა აუცილებელი მათი ჯიბეში ჩაწყობა. შეკერე ასეთი ჩანთა, გაუყარე ქამარი, წელზე შემოირტყი და ხელსაწყოები საძებარი აღარ გექნება.



ბეტონის კედელში რომ ხრახნი ჩაამაგრო, არაა აუცილებელი ნახვრეტში ხის საცობის ჩაჭედება. ნახვრეტში ჩაკეცე ქლორვილინით დაფარული, ორწვერა ელექტრომავთული, თავი გადააჭერი და ნულარ იდარდებ, ხრახნი შიგ საგულდაგულოდ ჩამაგრდება.



თუ საღებავის, წებოს ან ლაქის ბოთლის ყელში საცობი მაგრად არის ჩაჭედილი ან მიმხმარია ზედ და ამოძრობა ჭირს, მარტო შენი ღონით შეიძლება ვერაფერს ვერ გახდე.

აიღე თხელი რეზინი (ველოსიპედის შინისა, მაგალითად) და საცობის თავს შემოახვიე. რეზინზე თითები ნაკლებ მოცურდება და საცობი მალე დაემორჩილება შენს ნებას.





სატეხს ჩაქუჩის ცემისაგან ხის ტარი მალე უზიანდება. ჩამოაცვი სახელურს რეზინის „ქუდი", ეს არც მუშაობაში შეგიშლის ხელს, თითებსაც დაიცავს დაზიანებისაგან, და რაც მთავარია, სატეხი გაცილებით დიდხანს მოგემსახურება.

## საძიებელი


გ. ძოწენიძე — დიდი იუბილე (წერილი) . . . . .
ნ. მგელაძე — მამათა სახელით ვფიცავთ (ნარკვევი) . .
პატარა კომუნარი (წერილი) .
რ. ქორქია — მარილის აკვანი (მოთხრობა) . 8
მ. ფოცხიშვილი—სიმღერა ოქტომბერზე (ბალადა) . . . 10
კ. კობერიძე — გზა საამაყო და სამაგალითო (ნარკვევი). . 13
ვ. გორგანელი — საოქტომბრო (ლექსი) 15
გ. გიგაური — ზეიმია (ლექსი) . . . 15
ქართველი პოეტები უმღერიან . . . . 16
ე. სახვაძე — ზეგ შვიდი ნოემბერია (ნარკვევი) . . . . 18
ახალი წიგნები
ოქროს საწმისი 21
ი. კორინეცი — ცხრა მთას იქით, შორეთში (მოთხრობა, ნაწყვეტი, თარგმნა ზ. ლეშკაშელმა) . . . 24
ს. ბერიძე — ნასაკირალი (წერილი) . . 30
ბუნების კარი . 30
გამოგადგება . 32
თავშესაქცევი (გარეკანის) . . .


გარეკანზე — „რევოლუციის გარიჟრაჟზე", მხატვარი ზურაბ კაპანაძე.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 06205 ტირ. 58.100. ქაღ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 13/X-67 წ. სტამბის შეკვ. 3583. გამომც. შეკვ. 257. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ? თავსატეხები

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**ვერტიკალურად:** 1. საბავშვო ჟურნალი; 4. გარეული ფრინველი; 5. კურორტი შავი ზღვის პირას; 6. გამოჩენილი მევიოლინე; 8. სახელმწიფო ევროპაში; 9. მონათა დიდი აჯანყების მეთაური; 12. ყვავილი; 13. ნაცვალსახელი; 14. ხალხში დამკვიდრებული ზნეჩვეულება ანუ... 15. მუსიკალური ბგერა; 16. ბოსტნეული; 18. ცნობილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი; 19. თავსაბურავი; 21. შორისდებული; 22. სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 23. პლანეტა.

**ჰორიზონტალურად:** 1 საცხენოსნო სპორტის სახეობა; 2. რიყრაყი ანუ... 4. მწვერვალი კავკასიონზე: 6. გამოჩენილი ფეხბურთელი; 7. მდინარე ინდოეთში; 9. საოჯახო ჭურჭელი; 10. ცხენის ჯოგი; 11. ქიმიური ელემენტი; 15. საბრძოლო იარაღი; 17. მდინარე საქართველოში; 19. ნათესი ფართობი ანუ... 20. მცენარე; 22. ინგლისური სიგრძის საზომი.



შეადგინა ირაკლი ჯოხაძემ, თბილისის 55-ე საშ. სკოლის V კლ. მოსწავლე.

## ჩ ა ი ნ ვ ო რ დ ი
### 1917—1967



**წრეზე:** 1. რუსეთის რომელი ქალაქი გაჩნდა რუკაზე 1147 წელს? 2. ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებული გაზეთი; 3. ლეგენდარული კრეისერი; 4. სახელი რევოლუციონერისა, რომელიც ჩამოახრჩო მეფის მთავრობამ; 5. მარქსის თანამებრძოლი; 6. პარტიული ჰიმნი; 7. მდინარე, რომელზეც აშენდა სამგორის სარწყავი სისტემა.

**რადიუსზე:** მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი; გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი—მგზნებარე ტრიბუნი; პროლეტარიატის ბელადი; მდინარე, რომელზედაც აშენდა საიანო-შუშენსკის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური; მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი; გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი.

წრეში ჩახატულ ექვსივე ვარსკვლავში ჩაწერეთ 1917-1967 ისე, რომ ყოველ ვარსკვლავში ჩაიწეროს მხოლოდ ერთი ციფრი.

მ. კამკამიძე

## ჩ ა წ ე რ ე ც ი ფ რ ე ბ ი

აქ გამოხატული ფიგურის წრეებში ჩაწერე ათი ციფრი: 4, 5, 6, 7, 8, 9,



10, 11, 12 და 13 ისე, რომ ციფრების ჯამი, როგორც სწორ ხაზებზე ისე რკალზე 30 უდრიდეს.

## აბა სცადეთ!

დაიკარგა ძაღლი. ხომ ვერ დაეხმარებით პატრონს მის მოძებნაში?



## პასუხი № 10-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე





614/207
ეროვნული ბიბლიოთეკა